სამშაბათი, 1918 წ. მარტის 6 (19 № 49

ფასი თბილისში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 1918 წ. მარტის 6 (19 № 49

ფასი 10 შაური მეოთხე

საქართველო

რედაქცია

ბაგაზეთი მზადდება ისეთ დროს, როდესაც ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართველი ერის ბანკი. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის მისამართი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (ბინაზე თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა 3 ხაზად ერთ ფურცელზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე ეროვნულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხაშგლიგიანი განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=10 მანეთი, 20×2=13 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მიხაშმართოს გამოცემა ლორის ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა დაია დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-დან.

რედაქციისა 15—73

ვასილ ზაქარიას ძე პოკოლიშვილი შვილებით მარიამი, თამარი, ელისაბეტი, ნინა, ზაქარია და ვასილი, დედა ნინო ქერსიანაშვილი მისი და ალექსანდრა, სიძე ზაქარია ლომიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისა ძვირფასი ნაადგდარი ცოლი მეორეთა საყვარელი დედა და მესამისა შვილი და მეოთხისა დისა და სიძის

ეპატერინე გრიგოლის ასული ბოკოლიშვილისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ ოქრომჭედლების ქ. 6. გამოსასვენებელ ოთხშაბათს 7 მარტს ქვაშვილის ეკლესიაში დილის 9½ საათზე. დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზედ.

(3—1504—2)

---

8 მარტს დილის 10 საათზე გარდაიცვალა

ლუკია იოსების ასული კოკოჩაშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი, ვასილ პეტრეს ძე კოკოჩაშვილი, შვილები: შალვა, გიორგი, ანჩარ და რძალი ნინო ალექსანდრეს ასული კოკოჩაშვილისა.

გამოსვენება იქნება 6 მარტს სამშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე ქუთაისში განსვენებულის ბინიდან თბილისის ქუჩ., № 46 საფირჩხიის სასაფლაოზედ.

(1—1506—1)

ლრმად დაჩაგრულებული მშობლები პავლე როსტომის ძე და ანნა ნიკოლოზის ასული ყიფიანები, ძმა როსტომ პავლეს ძე და დები ელენე და რუსუდან პავლეს ასულნი უდროოდ გარდაცვლილნი

ნინო პავლეს ასულის ყიფიანისა

გულითადად მადლობას სწირავს ყველა ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომელთაც პატივი სცეს და პირადად, წერილებით და დეპეშებით ანუგეშეს მწუხარებაში.

(1—1507—1)

ქართული კლუბი

შაბათს, 10 მარტს,

ქართველ მსახიობთა მონაწილეობით

ვ. გ ა ლ ა ტ ი ნ ა

გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პირველად თბილისის სცენაზე მისივე გადმოკეთებული პიესა ანასტასია ერასტავ-ხოშტარიას სახელგანთქმული რომანიდან:

მოლიპულ გზაზე

დრამა 5 მოქმედ. და 9 სურ. ეპილოგით.

1. მოქ.—ოქრო სოფლად, 2 მოქ.—პირველი ხიბი სიყვარულისა, 3 მოქმ.—წუთიერი ბედნიერება, 4 მოქ.—დამსხვრეული სიყვარული, 5 მოქ.—ოქროს სიკვდილი. ეპილოგი (მაკინის და ქეთინოს უკანასკნელი წუთები).

მონაწილეობენ—ქალნი: ანდრონიკაშვილი ე., დავითაშვილი ნ., ივერიელი ა., კვეტელი ა., ჩერქეზიშვილი ე., ჯავახიშვილი ნ. ვაჟნი: ბარველი ვ., გვარაძე ნ., თარალაშვილი ი., კობახიძე ი., მატარაძე ვ., სარალი მ. და ფრანგიშვილი პ. მაკინე—ნ. დავითაშვილი, ქეთინო—ე. ანდრონიკაშვილი, ოქრო—ნ. გვარაძე.

წარმოდგენა დაიწყება სრულ 8 ს. ◆ ბილეთები იყიდება.

(1—1505—1) რეჟისორი ვ. გ ა ლ ა ტ ი ნ ა.

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო

აცხადებს, რომ კავშირის წევრთა მორიგი, წლიური

საზოგადო კრება

დანიშნულია 1918 წლის მარტის 7-სათვის ქ. თბილისს ქართული კლუბის შენობაში დილის 12 საათზედ.

კრების საბანია:

1. არჩევა კრების თავმჯდომარისა და მდივნისა.
2. წარსული წლის მოქმედების ანგარიში.
3. მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცვა.
4. წესდების ზოგიერთი ბუხლების შეცვლა.
5. სეზონების საკითხი.
6. კერძო მოხსენებანი.
7. არჩევა კავშირის საბჭოს თავმჯდომარისა და ორის წევრისა.

წევრთა საყურადღებოდ: ვისაც რაიმე მოხსენება აქვს კავშირის საბჭოს საზოგადო კრებამდე სამი დღით ადრე მაინც უნდა წარმოუდგინოს, შემდეგში ყოველი განცხადება და მოხსენება საბჭოს მიერ ამ საზოგადო კრებისათვის განუხილველი დარჩება და არც თვით საზოგადო კრებას წარედგინება.

1—925—1

„საქართველოს“ კონტორა

აცხადებს, რომ 20 თებერვლიდან გაზეთი ეღირება თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. ხოლო რკინის გზის სადგურებზე 35 კაპ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5, (იხილეთ „საქართველოს“ რედაქციის ბინა). დიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროს განსვლობაში შეიძლება რაგორც ცნობების მიღება, ისე წერილად ჩაწერა და შემოწირულობა შეტანა.

ამიერ-კავკასიის მთავარ რკინის გზების კომიტეტის სასურსათო კომისია

იწვევს ისეთ ვაჭრებს, რომელთაც სურთ და შეუძლიანთ იკისრონ საჭირო სურსათის ჩაბარება.

სურსათი უნდა ჩაბარდეს ამიერ კავკასიის რკ. გზის რიგ მელიმე სადგურზე.

მოლაპარაკება შეიძლება დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე თბილისის სადგურზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის ცენტრალ მმართველობელ კომიტეტთან.

3—1

ფასდაკლებელთა ფიგნის გამოცემლობა

„განათლება“

(ქუთაისში)

ამზადებს ყოველგვარ სახელმძღვანელოს ქართულ სასწავლებელთათვის.

დღემდი დაიბეჭდა:

1) **ხილ. ხუნდაძე**—ქართული გრამატიკა, 2) მოკლე გრამატიკა, მისივე. 3) **ია. ნიკოლაიშვილი**—ქართული გრამატიკა. 4) **„გუთანი“** ქართული ენის სახელმძღვანელო შედგენილი ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ. 5) ქართული ანბანი, შედგენ. მათივე. 6) **სიმ. ხუნდაძე**—ქართ. ლიტერ. სახელმძღვანელო—გრ. ორბელიანი. 7) ვახტ. ორბელიანი მისივე. 8) **გ. ცაგერეიშვილი, დ. ქუთათელაძე** და **შ. ხანკაძე**—გეოგრაფია ნაწილი I-ლი. 9) **ხ. ია შვილი**—გეოგრაფია, ნაწ. III, „ევროპა“. 10) **დ. უზნაძე**—ძველი საბერძნეთის ისტორია. 11) **სიმ. ოცხელი**—ელემენტარული გეომეტრია. 12) ალგებრა მისივე. 13) **ა. ჯაფარიძე**—არითმეტიკული კრებული ბიბლიოთ. I კლ. კურსი. 14) **ხ. დათეშიძე**—არითმ. კრებ. გიმნ. II კლ. კურსი. 15) **ა. მგალობლიშვილი**—არითმ. კრებ. გიმნ. III კლ. კურსი. 16) **ნ. შარაბიძე**—ქართული სიმღერები, ნოტებზე გადაღებული (სახელმძღვანელო).

ამ შამად იბეჭდება:

17) **ივ. ჯავახიშვილი**—ქართველი ერის ისტორია ნაწ. I. 18) **ალ. წერეთელი**—მსოფლიო (საზოგადო) ისტორია. 19) **ს. შარაძენიძე** და **ნ. ხვანიძე**—ალგებრულ ამოცანათა კრებული. 20) **ს. შარაძენიძე**—ტრიგონომეტრია. 21) **ა. ჩხენკელი**—ბოტანიკის სახელმძღვანელო (ანატ. და მორფოლ.) 22) **მაწავ. ჯაფარიძის** მიერ შედგენილი ქართული ქრისტომატია, I კლ. კურსი. 23) მათივე ქართული ქრისტომატია, II კლ. კურსი. 24) მათივე ქართ. ქრისტ. III კლ. კურსი. 25) მათივე ქართ. ქრისტ. IV კლ. კურსი. 26) **მ. ჩინჩალაძე**—ლათინური გრამატიკა. 27) **ნიკ. გოგიტიძე**—გეომეტრიულ ამოცანათა კრებული. 28) **დიკ. ი. ამეხაძე**—ლვთის მსახურება. მოკლე სახელმძღვანელო. 29) **დიკ. ი. ამეხაძე, სამ. ყიფიანი** და **ი. კობახიძე**—ძველი ლოთქმა. 30) მათივე ახალი ლოთქმა. 31) **რ. ხუციშვილი** და **დ. პარკაძე**—არითმეტიკული კრებული I კლ. კურსი. 32) **დ. ქუთათელაძე**—ბუნების მეტყველება. ცხოველები და ადამიანი. 33) ქართული ენის წერილობითი სავარჯიშონი. ხუთი წლის კურსი, მასწ. ჯგუფის მიერ შედგენილი.

მზადდება დასაბეჭდად.

34) **ალ. ჯანელიძე**—ფიზიკა (საშუალო სასწავლ). 35) **ხ. ოცხელი** და **ა. ნიეარაძე**—ფიზიკა (უმაღლ. დაწყ. სასწავლ). 36) **ა. ჩხენკელი**—ბუნებისმეტყველება. სახალხო შკოლათათვის. 37) **ა. ნიეარაძე**—ბუნების მეტყველება, (უმაღლეს დაწყებით სასწავლ.) 38) **დ. უზნაძე**—ძველი რომის ისტორია. 39. **ა. წერეთელი** და **ტ. ხუნდაძე**—საშუალო საუკ. ისტორია. 40) მათივე ახალი ისტორია. 41) **ივ. ჯავახიშვილი**—ქართველი ერის ისტორია II ნაწ. 42) „ეფეფხის ტყაოსანი“ ეუკოლ ბერძენ ენ. რედაქტორობით. 43) **ხ. ხუნდაძე**—ქართ. ლიტერ. სახელმძღ.—რუს. ერისთვი. 44) **ნ. გოგიტიძე**—ტრიგონომეტრია. 45) **რ. ხუციშვილი** და **დ. პარკაძე**—არითმ. კრებული II და III კლ. კურსი. 46) **კ. ძოძუაშვილი**—კოსმოგრაფია (თარგმანი). 47) **გ. ცაგერეიშვილი**—გეოგრაფია ნაწ. II. (აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია). 48) **კ. ჯორჯიკია**—ფრანგ. ენის გრამატიკა. 49) **კ. ჯორჯიკია**—და **ა. თორაძე**—ფრანგ. ენის სახელმძღვანელო. 50) **გ. ხვანიძე** და **მ. შეგვარდნაძე**—გერმანული ენის სახელმძღვანელო.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქუჩ., ზაქ. მაჭავარიანის სახლი.

(1—924—2)

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაკლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრანკლინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

უნიადაგო პოლიტიკა

ერთი წელიწადი უკვე გავიდა, რაც ჩვენი რევოლიუციონური მთავრობა გვყავს და ახალს წელიწყობილებას ვამყარებთ. ეს წელიწადი სრულიად დაკარგულად უნდა ჩაითვალოს ამ ახალი დემოკრატიული წყობილების დამყარებისთვის, ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში არავითარი დემოკრატიული რეფორმები არაფერ თუ არ დასრულებულა, არამედ არც კი დაწყებულა, გარდა 8 საათის სამუშაო დღის შემოღებისა და ყველა დაწესებულებებში ახალი პირების არჩევისა, თუ ეს რაიმე რეფორმად შეიძლება რომ ჩითვალოს.

სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მეთაურნი ახას არ ჰპაღავენ. გულახდილად აღიარებენ, რომ მათ ჯერ ვერაფერი ვერ შექმნეს და ვერ ააშენეს. თავს მხოლოდ ამით იმართლებენ, რომ ისინი აქამომდე ანგრევდნენ და ეხლა შენებას შეუდგებიან. სიმართლესთან უფრო ახლო იქნება ალვნიშნოთ, რომ არც ამ ძველი წყობილების ნგრევას შეუწირავს ჩვენი სოციალ-დემოკრატების ძალ-ღონე ამ უკანასკნელს. რაც დასანგრევი იყო, დაიხარა შარშან, რევოლიუციის პირველს დღესვე და ამას შემდგომ თუ რამ ინგრევა, უმთავრესად ის, რაც დასანგრევი არ არის. რევოლიუციის „გაღრმავების“ ლოზუნგი საკუთარ ბოლშევიკებმა განანახარციელეს და მათ გადრმავებულს ფუსკულში ჩადუპეს მთელი რუსეთი, მისი თავისუფლებით და სოციალიზმით. ჩვენი მენშევიკები უფრო თავდაჭერილი იყვნენ ამ რევოლიუციის „გაღრმავების“ საქმეში, მაგრამ ისინიც იძულებულნი გახდებიან ამ გზას გაჰყვნენ, თუ სხვა გზა ვერ მოინახეს, ან თუ სხვა ს

იძულებული ვიქნებით მთელი ლეჩხუმის მაზრა, როგორც კონტრ-რევოლუციონური, იარაღით დავიმორჩილოთ“.

ეს არ გახლავთ შეშლილის წერილებიდან ამონაწერი. ეს არის ქუთაისის გუბერნიის კომისარის ბრძანება, რომელიც ჩვენი მთავრობის ოფიციოზმა „ერთობამ“ საპატიო ადგილზეც-კი მოათავსა, ალბად როგორც რევოლუციონური მთავრობის შემოქმედების სამაგალითო ნიმუში.

რით დაიმსახურა უბედურმა ლეჩხუმმა საგუბერნიო კომისარის ასეთი რისხვა?

„ჩემამდე მოსული ცნობების თანახმად, მთელი ლეჩხუმის მაზრა უწესოებამ მოიცვალა“, ბრძანებს კომისარი და შემდგომ გვამცნობს, რომ ლეჩხუმის „ბნელი ძალები დაეცა სამაზრო კომისარიატს, გადაალეწა მოსამსახურე პირები და სხვა. შემდგომ, რედელაც ლეჩხუმის დასასჯელად ქუთაისიდან ჯარები გაიგზავნა, ხალხი დახვდა მას, იარაღი აჰყარა და უკან დააბრუნა და თან „რევოლიუციონერების ლეგან დადევნილიანის, რუბენ ყიფიანის და სხვების მიცემა მოსთხოვა“, რაც, როგორც ვიცით, შესრულებულ იქმნა.

„ჩემამდე მოსული ცნობების თანახმადო,“ რომ ბრძანებს ქუთაისის მბრძანებელი, ეს ცნობები ისე შემცდარი უსდა იყოს, როგორც მრავალჯერ წინეთ. ასეთივე ცნობების მიხედვით, რევოლუციის პირველს თვეებში ლეჩხუმში ასევე გაიგზავნა ჯარები და ეს ექსკურსია რამოდენიმე თვე გრძელდებოდა. მაშინაც ატყობინებდენ ქუთაისის გუბერნიის კომისარს, რომ ლეჩხუმში კონტრ-რევოლიუცია დაიწყოო და ხალხი აჯანყებას აპირებდებოო. გამოიარეა, რომ მთელი კონტრ-რევოლიუცია იმაში მდგომარეობდა, რომ ლეჩხუმში რამოდენიმე ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა პროპაგანდისტი გაჩენილა, რომელთაც საკუთარ პარტიული პროპაგანდიის წარმოება მოუხდომიათ არჩევნებში. ამან მტკად გაბარიხა ლეჩხუმის მფლობელნი და ისინი რაღაც-ეველია, ზოგი გაიქეცა მაზრიდან და ზოგიც ციხეში ჩაამწყვდიეს.

ახლაც, როგორც გვამცნობენ, ესევე განმეორებულა. ლეჩხუმში ადგილი არ ჰქონია არავითარს მთავრობის ურჩობას, კონტრ-რევოლიუციონურსა თუ ბოლშევიკურს გამოსვლებს. ეს მაზრა ძველი რეჟიმის დროსაც ყველაზე უფრო ბოშვიდობიან მაზრად ითვლებოდა დასავლეთს საქართველოში ავანაკობისა და ბოროტ-მოქმედების მხრივ და ასეთივე დარჩა ამ რევოლიუციის დროსაც.

ხალხს მხოლოდ განუზრახავს აღმასრულებელსა და სასურსათო კომიტეტიდას ზოგიერთი პირების გაძევება. ამათმა ისეთი პირები მოიწვიეს, რომ თვითნებობა და ბოროტება გაბეზდეო.

არჩევნებზე ახალი პირები ამოურჩევიათ, უმრავლესად იმავე სოციალ-დემოკრატების წრიდან. ამასთანავე ხალხს საერთო ნდობა გამოუცხადებია მაზრის კომისრისთვის, რომელიც მენშევიკი სოციალ-დემოკრატია, მაგრამ რაგორც ამბობენ მაზრაში წესრიგისა და ბოშვიდობიანობის დაცვაზე მეტს ზრუნავს ეროვნულ პარტიულ კენკლაობაზე და ამის გამო ხალხის საერთო თანაგრძნობა აქვს დამსახურებული, ხოლო ზოგიერთ პარტიულ ამხანაგების რისხვა და უკმაყოფილება. ის ჯგუფი, როელიც მაზრის დაწესებულებიდან დათხოვილ იქმნა სასტიკს ბრძოლას აწარმოებდა თვით ამ კომისრის მათი პარტიული კანდიდატის წინააღმდეგ და როდესაც დამარცხებულა, ლეჩხუმის მაზრა გახდარა კონტრ-რევოლუციონური და ბოლშევიკური. ამის შედეგად გამოუწვევიათ ლეჩხუმში კონტრ-რევოლუციის ჩასაკრობად ჯარები. არა ბოლშევიკები და კონტრ-რევოლუციონერები, არამედ რამოდენიმე ათასი ადგილობრივი მცხოვრები დიდი და პატარა, ქალი და კაცი დახვედრია ამ ჯარს და მისთვის იარაღი აუყრია და უკან გაუბრუნებია. ჯარების გამომწვევნიც ხალხს გაუნთავიუფლები, ხოლო მათთვის საყვედური გამოუცხადებიათ. ამის შემდეგ თუ მეორე დღეს, ბოროტგამზრახველთა გზაში მოუკლავთ ლევან დადეშქელიანი, რომელიც თავის სახლში ბრუნდებოდა. ასეთია ის ცნობები, რომელიც ჩვენ გვაქვს ლეჩხუმის „კონტრ-რევოლუციის შესახებ. იქნებ ის არ იყოს სრული, ან სავსებით სიმართლეს არ შეეფერებოდეს. ყოველს შემთხვევაში ის უფრო ობიექტიური წყაროებზეა დამოკიდებული, ვიდრემ ქუთაისის გუბერნიის კომისრამდე „მოსული ცნობები“.

ადამიანის სიცოცხლე დაცული უნდა იყოს კანონისა და მთავრობის მიერ ყოველგან და ყოველთვის, მთავრობამ უნდა დაიფაროს ყოველი მოქალაქის სიცოცხლე. მდიდარი იქნება ის თუ დარიბი, გორელი აზნაური თუ სოციალ-დემოკრატების მეთაური.

ლევან დადეშქელიანის მკვლელს დირსეული სასჯელი უნდა მიესაჯოს მიუხედავად იმისა თუ რა ნიადაგზე ან სულიერს განწყობილებაზე ალმოცენდა ეს ბოროტმოქმედება. ამისათვის საჭიროა პირუთვნელი გამოძიება და სასტიკი სამართალი.

მაგრამ განა წარმოსადგენია, რომ მთავრობამ მთელი მაზრა „კანონს გარეშე“ გამოაცხადოს, თუნდაც კიდევ მრავალს ასეთ საშინელს და კიდევ უარესი ბოროტებისთვისაც? რას ნიშნავს ეს? რომ გაჩნდეს რაიმე ბნელი ძალა და მთელი მაზრა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ამოხოცოს და ამოფლიტოს, რევოლიუციონური მთავრობა არამც თუ ხელს არ გაანძრევს, არამედ არც კი დაჰგმობს,—ლეჩხუმის მაზრა „კანონს გარეშეა“ გამოცხადებული! უნდა შეიკრას ყველა გზები, ყოველგვარი მოძრაობა, დამშეულს მაზრაში უნდა შეწყდეს სურსათის შეტანა! ნუ თუ ამაზე შორს კიდევ შეიძლება წავიდეს ადამიანის გულუბრობა და ბარბაროსობა?

ალბანოვების ეკზეკუციები და დამსჯელი ექსპედიციები მოსაგონი არ არის. უდიდეს სასჯელად ითვლებოდა, როდესაც სოფელს ჯარებს ჩაუყენებდენ. გამოიცხადებდნენ სანხედრო წესებს, ბოროტმოქმედებისთვის მკაცრ სასჯელს შემოიღებდენ, ხალხს ქონებრივად შეავიწროებდენ, განა თვითმპყრობელი მთავრობის ტირანებს აზრად მოუვიდოდათ მთელი მაზრა „კანონს გარეშე“ გამოეცხადებინათ?

ან ბოლშევიკებს, რომელთაც ამდენი ველურობა და სიმხეცე ჩაიდინეს, აზრად მოსვლიათ იმ ქვეყნების ერთიანად განადგურება და სიმშილით ამოფლეტა, რომელნიც მათ არამც თუ არ ეხმრობოდენ, არამედ იარაღით ხელში ებრძოდეს?

მერე რისთვის? კონტრ-რევოლიუციონერობისთვის? მთელმა მაზრამ, რამოდენიმე ასეულის გამოკლებით, სოც.-დემოკრატებს მისცა ხმა დამფუძნებელ კრების არჩევნებზე. ისინიც ამაყობენ, რომ მთელი ქართველი ერი მათ ემხრობა. თუ კონტრ-რევოლიუციონერობა არის ის, რომ ხალხს მობეზრდა უმთავრობა და უწესრიგობა, კონტრ-რევოლიუციონური იქნება მთელი საქართველო, ამერეთი და იმერეთი.

გორის მაზრაში მთელი ოჯახობა ამოჟლიტეს დიდიან პატარიანად. მთავრობამ იცოდა, რომ ეს ხდებოდა, იცის, რომ ეს კიდევ მოხდება. სასტიკს ზომებს გვიან მიმართეს და ამასაც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და არა სისტემატიური. ჩვენი პოლიტიკოსნი ამბობდენ—ეს აგრარულს ნიადაგზე ადმოცენდა, ეს მოსალოდნელი იყო. ეს ისტორიულად გასაგებიაო და სხ.

არავის მოუნათლავს ის კონტრ-რევოლუციონურად. არავის არ გამოუცხადებია ეს მაზრა „კანონს გარეშე“. ნუ თუ ხალხი კონტრ-რევოლიუციონურად ხდება მაშინ, როდესაც ის ამა თუ იმ სასურსათო კომიტეტის წევრს გამოცვლის და ნუ-თუ სასტიკი ზომებით მხოლოდ კომისარის და მილიციონერის სიცოცხლე უნდა იყოს დაცული?

ვინ არის ქუთაისის გუბერნიის კომისარი, რომელიც რევოლიუციისა და დემოკრატიზმის დროშით ბარბაროსულ ტირანად გვეულინება? რად არ აწერს ის თავის სახელს იმ ველურს ბრძანებას, რომლითაც ის მთელს მაზრას „კანონს გარეშე“ აცხადებს? გვყავს თუ არა ჩვენ რაიმე მთავრობა, დაბურულია თუ არა ყოველივე სასამართლოები, რომ ასეთს რევოლიუციონურ ჭინჭრაქებს თავისი ადგილი მიუჩინოს?

ა. ახათიანი.

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

ტრაპიზონის საზავო კონფერენციის გახსნა

ოსმალეთის მთავრობის წინადადება

(თარგმანი ფრანგულით)

ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობის დელეგაციას აქვს პატივი განაცხადოს, რომ მის მთავრობას გულწრფელი სურვილი აქვს კეთილ მეზობლური ურთიერთობა დამყაროს იმ რესპუბლიკასთან, რომელიც ეს არის ეხლა იქმნება ამიერ კავკასიაში. ოსმალეთის დელეგაცია სთხოვს ამიერ კავკასიის დელეგაციას წარუდგინოს მას დეკლარაცია აღნიშნულ რესპუბლიკის პოლიტიკურ და სადმინისტრაციო სგნის შესახებ. მას აინტერესებს გაიგოს შესრულებულია თუ არა ის პირობები, რომელსაც მოითხოვს საერთაშორისო უფლება ახალ სახელმწიფოს შესაქმნელად.

ამიერ კავკასიის მთავრობის პასუხი

მარტის 13-ი.

ამიერ კავკასიის სეიმის დელეგაციას აქვს პატივი განაცხადოს ოსმალეთის დელეგაციის მარტის 14-ის შეკითხვის საპასუხოდ შემდეგი: ამიერ კავკასიის მართველობის ფორმის, პოლიტიკურ და საადმინისტრაციო ორგანიზაციის საკითხი პირველ რიგში უნდა განიხილოს ერთად ერთმა ამისათვის უფლება მოსილმა ორგანომ, ამიერ კავკასიის სეიმმა, რომელიც შექმნილა საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე ხალხის თავისუფალ ნების მიერ ბოლშევიკების გამოსვლის შემდეგ (დეკემბრისთვის 27, ძველი სტილით). ამინრ კავკასიის ტერიტორიაზე შესწყდა რუსეთის ცენტრალ მთავრობის მოქმედება და შესდგა დამოუკიდებელი მთავრობა, რომელიც ამ ჟამად სეიმის წინაშეა პასუხისმგებელი. ამიერ-კავკასიის მთავრობა უკვე შეეცადა საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში იმით, რომ მიიღო ოსმალეთის წინადადება დამოუკიდებლად ხალის ჩამოგდებისათვის მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ამიერ-კავკასიის სეიმმა და მთავრობამ გადადგა შემდეგი ნაბიჯი ამ სფეროში, რაც გამოიხატა იმაში, რომ მეორარ სახელმწიფოთა საგარეო მინისტრეს ტელეგრაფის საშუალებით პროტესტი გაუცხადა და ამიერ-კავკასიის შესახებ დადებული ხელშეკრულება ძალა-მოკლებულად ჩასთვალა, რომელიც საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით საეჭვოებულო არ იყო მისთვის. ტრაპიზონის ეს საზავო კონფერენციაც არის აქტი ამიერ-კავკასიის საერთაშორისო უფლებრივ ცხოვრებისა. ამნაირად სიხამდვილეში ამიერ-კავკასია უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუმცა ამის შესახებ დეკლარაცია არ შეუშავებულა და სახელმწიფოებს საამისო ნიტა ჯერ არ დაჰგზავნიათ.

დიდი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს ამიერ-კავკასიის დელეგაცია, რომ ოსმალეთის მთავრობას სურს კეთილ-მეზობლურ ურთიერთობის დამყარება ოსმალეთსა და ამიერ-კავკასიას შორის და სრული იმედი აქვს, რომ საზავო კონფერენცია სასურველად დაგვირგვინდება.

სიტყვა

წარმოთქმული ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარის მიერ ტრაპიზონის კონფერენციის გახსნისას.

(ფრანგულიდან ნათარგმნი)

მადლობას ვწირავ ზეცას, რომ მოგეცა შემთხვევა ჩემი მთავრობის და ამხანაგების სახელით მოგმართოთ თქვენ, წარმომადგენლებს ამიერ კავკასიისას, რომელიც ცარიზმის დამხობის შემდეგ თანდათანობით მიიწევს წინ დამოუკიდებლობის გზაზე. მე მაქვს პატივი აღვნიშნო, რომ ეს შემთხვევა ერთი უდიდესი სიხარულთაგანი იქნება მთელ სიცოცხლეში. ვუძღვნი სალამს თქვენს სახეში თქვენს მხარეს, ეს იმიტომ კი არა, რომ ამას მოითხოვს ცერემონიალი, და დიპლომატიის ტრადიციები, არამედ ეს ხდება იმიტომ, რომ განვიცდი პატივის ცემის გრძნობას და მსურს დახმარება აღმოვიჩინოთ ამ წმინდა საქმეში, რადგანაც ყველა ის საამხედრო მოქმედება, რომელიც სწარმოებდა 200 წლის განმავლობაში ცარიზმის წინააღმდეგ, სულ თავდაცვის ხასიათისა, მე მგონია, რომ ჩვენი ბედი თანდათან ერთდებოდა ამ ხნის განმავლობაში. უკანასკნელმა წარმავალმა დიდმა პანამ, რომელმაც საუბედურო ხელი შეგვიშალა არსებითად სისრულეში მოგვეყვანა ჩვენი მოვალეობა თქვენთვის დახმარების აღმოჩენის საქმეში,—მაღელი რიგი მძიმე გამოცდებით დაამტკიცა ჩვენი ბედის ერთიანობის საჭიროება და აუცილებლობა. ყოველ შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გამთიშველი დაბრკოლების მოსპობა უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე საუკეთესო დიპლომატიური გამარჯვება, რადგანაც ჩვენი დამაკავშირებელი ძაფებია არა თუ მარტო ისტორიული და გეოგრაფიული დამოკიდებულებანი, არამედ უფრო ნათესავური კავშირი, რაც შედეგია ჩვენი საერთო წარსულისა. სწორედ ამიტომაა, რომ კავკასიის და ოსმალეთის ხალხი შესდგება ერთი და იმავე ერებისაგან და ერთი და იგივე სარწმუნოებისანი არიან და თითქმის ერთი და იგივე ისტორია გვაქვს. ვგრძნობ რა ყველა ამას ვუსურვებ ამ თათბირს ნაყოფიერ მუშაობას და პირველ პლენარულ კრებას გახსნილად ვაცხადებ.

ა. ი. ჩხენკელის საპასუხო სიტყვა

რომელიც წარმოსთქვა ტრაპიზონის საზავო კონფერენციის პირველ სხდომაზე ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარის მისასალმებელ სიტყვის საპასუხოდ.

„ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაციის სახელით გულითად მადლობას ვწირავ ოსმალეთის მთავრობის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს იმ მისასალმებელ სიტყვისთვის, რომელიც მან ინება ეს იყო აქ წარმოეთქვა. ამასთან ერთად სალამს ვუძღვნი ოსმალეთის დელეგაციას. განსაკუთრებით მახარებს მე უკანასკნელი ფრაზა. ოსმალთა მთავრობის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ სიტყვაში გამოსთქვა, რა სურვილი, რომ მომავალი შეთანხმებული მუშაობა ნაყოფიერი ყოფილიყოს, დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ მუშაობას საფუძვლად ის გულწრფელობას უდებს. ამიერ-კავკასიის დელეგაცია განსაკუთრებულ ნდობით ეპყრობა ამ სიტყვებს, მით უმეტეს, რომ ორ ხალხს შორის მშვიდობიან ურთიერთობის დამყარების ინიციატივა სწორედ ოსმალეთის მთავრობას ეკუთვნის. რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ერებს, ისინი ამიერ-კავკასიის სეიმის სახით გამოსთქვამენ თავის უდრეკ ნების ყოფას და სურვილს ოსმალეთთან უგულწრფელეს და ნამდვილ მეგობრულ ურთიერთობის დამყარებისას. თუ თქვენ ინებეთ გეთქვათ, რომ თქვენ არჩევულებრივ მომენტად სთვლით იმ საშუალების, რომ მოგვესალმნეთ ჩვენ,—მაშინ ნება გვიბოძეთ გავაცხადოთ, რომ ჩვენ უფრო მეტ სიამოვნებას განვიცდით ვიდრე თქვენ, რადგანაც ამიერ კავკასიის დელეგაცია უფლება მოსილ სეიმის სახელით პირველად გამოდის საერთა შორისო ურთიერთობის გზაზე. ეი სწორედ ამიტომ არის რომ პირველად გამოვდივართ, ამიტომვეა, რომ დიპლომატიას არ მივმართავთ. ყოველივე დიპლომატობის და მალულ გრძნობის უადგილობა,—ეი ხელმძღვანელი პრინციპი ამიერ კავკასიის რევოლიუციონურ ხალხთა. ამიერ კავკასიის თავისუფალი ერები, რომელთაც თავს იდვეს საკუთარ ბედის გადაწყვეტა შეძლებენ თავის მხარის დაცვას, მაგრამ ისე, რომ არავითარ შემთხვევაში არ იქნეს შეშლილული მეზობელ ერთა ინტერესები. ერთხელ კიდევ გიძღვნით სალამს და ვთავაგებ იმითვე, რითაც თქვენ დათავეთ თქვენი სიტყვა. ჩვენ არამც მარტო ისა გვსურს, რომ ნაყოფიერი იყოს ჩვენი ერთად მუშაობა, არამედ თავმდებობას გაძლევთ, რომ მთელის ჩვენის ძალღონით ვეცდებით, გულწრფელი და მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს ამიერკავკასიისა და ოსმალეთის ხალხთა შორის.

ომი

გერმანელების შემოტევა

დასავლეთის ფრონტი

მარტის 13 ცნობა

ბერლინი. ნიუპოსტის აღმოსავლეთით ბელგიელების შემოტევა მოვაგერიეთ. ტყვედ ვიგდეთ 10 ოფიცერი და 30 ჯარისკაცი. ზონენბახის აღმოსავლეთით და ფრენელოსის სამხრეთ-დასავლეთით ტყვედ ვიგდეთ 23 ინგლისელი ოფიცერი და 1 პორტუგალელი. შამპანში ღასავლეთ პრუსიის რაზმმა ძლიერ საარტილერიო სამზადიდის შემდეგ აიღო პრელსის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ფრანგების თხრილები და 90 ტყვე წამოიყვანა.

ვენა. ოფიციალი. ავსტრია-ჰუნგრეთის და გერმანეთის ჯარები ოდესის წინ სდგანან.

მარტის 14 ცნობა

ბერლინი. ჩვენი ჯარი ოდესისკენ გალაციისა და ბენდერის მიმართულებით მიდის. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მტრის ბანდები გაიფანტნენ. ჩვენებმა მოლდავეინკა და ოდესა აიღეს. ჩვენ მოგვდევენ ეშერინკიდან მომავალი უნგრეთის ჯარები.

მარტის 15 ცნობა

ბერლინი. პრინც რეპრეხტის ლაშქარი. მთელი დღე სუსტი საარტილერიო ცეცხლი ენთო.

საფრანგეთის განაკის ცნობა

პარიზი. მთელს ფრონტზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა; განსაკუთრებით კი მაასის მარჯვენა მხარეზე და ბეზენკისა და ვახერევილლის მიდამოებში.

ლოტარინგიაში, გარვილის დასავლეთით საარტილერიო სამზადისის შემდეგ მტერმა ფიცხელი იერიში მოიტანა. ჩვენ საგრძნობი ზარალი მივაყენეთ. მონასტირის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარი მტრის მოწინავე ადგილებში შეიჭრა. ადგილები დაცლილები დაგვიხვდა. იმავ მიდამოებში ბულგარელებმა იერიში მოიტანეს ჩვენზე, მაგრამ მოვიგერიეთ. წუხელ მონასტირთან ძლიერი საარტილერიო ცეცხლი ენთო.

ახლო აღმოსავლეთი

კონსტანტინეპოლი. მარტის 14. პალესტინის ფრონტი. მტრის რაზმი ჟერეკე-ვადი-სენტისკენ მოდიოდა მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ. ირანის ფრონტზე ჩვენ წინ წავიწიეთ.

ოსმალთა შემოტევა

მარტის 13 ცნობა

აზრუმში ხელთ ვიგდეთ მრავალი ზარბაზნები და ტყვეა წამალი.

სომეხთა რაზმმა ჰასანკალასა და თორთუმისკენ დაიხია. ჩვენები ძველ სახელმწიფო საზღვრებს უახლოვდებიან.

მარტის 14-ის ცნობა

ტრაპიზონში ხელთ ვიგდეთ 82 სხვა და სხვა ჯური ზარბაზანი. აზრუმში დღემდე 232 ზარბაზანი აღმოვაჩინეთ. მამახატუნში 18 ნაღმის მტყორცნელი ვიგდეთ ხელთ. სომეხთა კოლონიამ, რომელშიც შედიოდა 2600 ქვეითი ჯარი, 260 ცხენოსანმა 6 ტყვეის მფრქვეველით იერიში მოიტანა ჩვენზე მაგრამ ზარალის მეტი ვერა ნახა რა.

რუსეთი

პეტროგრადი აღებულია

საგორთო მდგომარეობა

დიდ მწუხარების მომგვრელი იყო ის დღეები, რომლებიც წინ უსწრებდნენ პეტროგრადის აღებას. ადარაგითარი მთავრობა. პეტროგრადის ქუჩებში ყველა რანგისა და ხულიგნების თარეში...

ბოლშევიკები დღითი დღე ეღოდენ მტერს და თან ჯავრს ინტელიგენციაზე ყრილობენ. წითელ გვარდიელები ხიშტებით ადგანან თავს და პროფესორებს ქუჩაში თოვლს ახვეტინებენ. პროფესორების შორის მუშაობს ცნობილი მხატვარი სამოკიშიც. თუმცა ინტელიგენცია და ოფიცრები ფიზიკურ შრომას ეწევიან მაგრამ მათ პურის რაციონი არ გაუდიდეს და 1/8 გირვანქის სინაბარა არიან.

ცარსკოე სელოში

ცარსკოე სელოს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭომ გადაწყვიტა გერმანელებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. გამოიტანეს სათანადო რეზოლუციაც, მაგრამ გერმანელების მოსვლის დროს რეზოლუცია ცხოვრებაში ვერ გაატარეს, რადგან გერმანელებთან ბრძოლის მსურველი ეღარავინ აღმოჩნდა.

გერმანული პრესა

კოპენჰაგენიდან მოსკოვის გაზეთებს ცნობა მოსდით, რომ გერმანული მთავრობა ოდნავადაც არ ჰგრძნობს სირცხვილს და თავის ლაშქრის შემოტევას, „სამხედრო გამოსყენებას“ უწოდებს.

ტყვე ოფიცრების მოლოდინში

პეტროგრადის დღეების დათვლა გერმანელებს იმდენად სწამდათ, რომ რამდენიმე დღით წინ თავრიდის ქუჩაზე სმოლნის მახლობლად ერთ ოთახში გერმანელ და ავსტრიელ ტყვე ოფიცრების კლუბი გახსნა. კლუბის სწორ უფლებიან წევრებად ირიცხებოდნენ მხოლოდ ოფიცრები და შემთხვევით პეტროგრადში დარჩენილი გერმანელები ჯარის კაცებს კლუბის წევრებად არ დებულობენ. კლუბის ადმინისტრაციამ ყოველივე დონე იღონა, რომ კლუბის წევრებს ყველაფრით ისე ეგრძნოთ თავი, როგორც თავთავიანთ სახლში. კლუბში გახსნეს ბუფეტი და სამკითხველო, რომელიც სავსეა ახალ გერმანულ წიგნებით. სადილსა და ვახშამს კლუბში ყოველ დღე იძლევიან ამასთან მეტად ნაკლებ ფასებში. შოულობენ ცხარე სასმელებსაც. ყოველ საღ დღეში ერთხელ ოფიცრები საამხანაგო სადილებს ჰპატართაგენ. იპატიჟებენ რუს ოფიცრობასაც. ყოველ კეირა იმართება იმპროვიზული ბალები. სულ რამდენიმე დღით წინ პეტროგრადის აღებამდე, კლუბში შესდგა სადღესასწაულო საღამო. ოფიცრებმა ინვიტირეს ადმირალ ვილჰელმი დაბადების დღის აღსანიშნავად.

5 დღით წინ

5 დღით წინ პეტროგრადის აღებამდის გერმანეთის საზღვაო დელეგაციის მეთაური კაპიტანლეიტენანტი ინბარულეს რუსეთის ქვეშევრდომ გერმანელებმა. მათ ხელმძღვანელობდა ერთ ერთ უნივერსიტეტის პროფესორი. დელეგაციამ უკმაყოფილება გამოსთქვა რუსეთში მომხდარ ამბების გამო და სთხოვა კაპიტანლეიტენანტს, რომ მას კეთილ ენება და მათ ინტერესების დაცვისათვის ეზრუნა. კაპიტანლეიტენანტი სთხოვს რომ ასეთ მდგომარეობისთვის კიდევ როგორმე გაეძლოთ ერთის კვირით, რადგან ამ ხნის შემდეგ მოხდება, დიდი ცვლილება, როგორც პოლიტიკურის ისე ეკონომიურის მხრივ.

საზღვაო კომისიის ჩამოსვლა

პეტროგრადში ჩამოვიდა გერმანელთა საზღვაო კომისია, რომელსაც გრაფი ბალინი მეთაურობს, ბალინი პამბურგ-ამერიკის გზის ცნობილი დირექტორია.

გრაფ ბალინს დავალებული აქვს ვილჰელმისგან ლიბავა-რიგა-პეტროგრად-ჰელსინგფორსის საზღვაო გზების სამხედრო ეკონომიური შეკავშირება. გერმანელები პეტროგრადში გერმანეთის საამირბაროს განყოფილებას აწყობენ. ხსენებული განყოფილება ხელმძღვანელობას გაუწევს გერმანეთის საზღვაო ძალებს ბალტიის ზღვაში, განსაკუთრებით კი ფინლიანდიის და შვედეთის წყლებში.

პირველი შეტაკება.

პეტროგრადის აღების დროს პირველი შეტაკება გერმანელებს კრონშტადტელებთან მოუხდათ. გერმანეთის ფლოტმა ქალაქს ნაღმოსნით დელეგაცია გაუგზავნა და 24 საათის განმავლობაში საგანგებო სიით ბალტიის ფლოტის ყველა სამხედრო გემების დათმობა მოსთხოვა. სიაში აღნიშნული იყო ყველა ჯურის გემი ნაღმოსნებიდან დაწყებული წყალქვეშებამდის.

კრონშტადტის საბჭოში გერმანელების მოთხოვნილებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია. აღმასრულებელ კომიტეტის წევრები აღნიშნავდნენ, რომ გერმანელების მოთხოვნილებანი პირდაპირ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენო. შეურიგებელ მეზღვაურთა ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ იგი არ დაემორჩილება გერმანელების მოთხოვნილებას და იარაღით ხელში იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. თავგანწირული მეზღვაურები გემებს მიცვივდნენ. გაჩაღდა ბრძოლა. გერმანელებმა ურჩი მეზღვაურები თავიანთ გემებიდან 12 დიუმიან ყუმბარებით დაჰლუპეს. ამის შემდეგ გერმანელები ბალტიის ფლოტის ოფიციალ რეკვიზიციას შეუდგნენ.

ვილჰელმის მოლოდინში.

ხმებია, ამ დღეებში პეტროგრადს ჩაგლენ ვილჰელმი და ჰინდენბურგიო.

უცხოელ ელჩების წახვლა.

ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები ბიუკენენი და ნიულანსი წასულან სწორედ იმ დღეს, რა დღესაც უკანასკნელად ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებს. რამდენიმე დღის შემდეგ ხომ სახალხო კომისრების საბჭოც გადმოვიდა მოსკოვს. ელჩები შვედეთში გავიდნენ.

უკანასკნელი წუთები.

სახალხო კომისრების წამოსვლის შემდეგ პეტროგრადი ბრბოს ხელში დარჩა. ხულიგნებმა და საერთოდ ყველა ჯურის ავაზაკებმა იწყეს ცარცვა-გლეჯა, ძალადობა და ხოცვა-ყლეტა.

გერმანელებას შესვლა.

გერმანელების შესვლა და შედარებით კარგ წესრიგის დამყარება ერთი იყო. მათ მრავალი ხულიგანი დაბეგრიტეს. ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებში წითელ გვარდიელები სამხედრო ქონებას და ხიდებს აფეთქებდნენ. გერმანელებმა მთავარი ყურადღება მიმოსვლის აღდგენას მიაქციეს. ცდილობენ პეტროგრადი დაპყრობილ ოლქებს, კერძოდ კი კურლანდიას, პოლონეთს და უკრაინას შეუერთონ.

მოსკოვში

სევასტოპოლში ცნობა მისულა, რომ პეტროგრადის ადებამ მოსკოვის მცხოვრებნი დიდ სასოწარკვეთილებაში ჩაგდო. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთები თითქოს აჩვენდნენ საზოგადოების სმენას პეტროგრადის აღების ამბებს—მისმა აღებამ მაინც მეტად შეაძრწუნა მოსკოვი. მიიღეს რა ხამდვილი ცნობა, მოსკოველებმა იმავ დღესვე ანტიბოლშევიკური ხასიათის გრანდიოზული დემონსტრაციები გამართეს. მოხდა აქა-იქ შეტაკება და სისხლის

ლგრა. სამღვდელოებამ გამართა ლიტანია. მოუწოდებდნენ მტრის შემოსევის თავიდან ასაცილებლად. ზოგიერთ ალაგებში ბოლშევიკები სახურავებიდან უშენდნენ პროცესიას. ზოგან არც ბოლშევიკებს აყრიდნენ კარგ ღელეს. მათ პირველ შეხვედრისთანავე უმასპინძლდებოდნენ. მადაზიები დახურული იყო. „რუსკია ვედომოსტი“ მდგომარეობის შესახებ სწერდა: „მცხოვრებლებმა თვალები არ უნდა აიხვიონ. სინამდვილეს თვალდა უნდა შეეხედეთ. სულ ადვილი შესაძლებელია, რომ გერმანელები მოსკოვშიც შემოვიდნენ. გერმანელები ჩვენ ალბად ბრიანსკისა და ტულიდან დაგვემუქრებიან. გერმანელები შემოვლენ მოსკოვში არა როგორც სტუმრები, არამედ როგორც პატრონ-ბატონები, რადგან ეხლა მოსკოვი სავსეა გერმანელებით და თავიანთ მოძმეთ სიხარულით შეეგებებიან“.

ბოლშევიკების მდგომარეობა მეტად კრიტიკულია. მათ მშრომელი მასსა ჰშორდება. ბოლშევიკების ლიდერები მოსკოვიდან გაიქცნენ. პეტროგრადში მომხდარ ამბების შესახებ მოსკოვში ცნობები კიევიდან მოდის. გერმანელებმა კიევი პეტროგრადს ტელეგრაფით შეუერთეს და თუ რა ზომებს მიიღებენ—კიევს ატყობინებენ.

ქრონიკა

თბილისი.

ი. ალხაზიშვილის თვითგასამართლება. (დეპეშა). ალხაზიშვილის ვაჟი შალვა მამის შესახებ შემდეგ ცნობას იძლევა: მამა ცოცხალია, მისი ჯანმრთელობა უმჯობესდება. 65 წლის მოხუცს პროვოკაციით ასისხლანდებულმა ბრბომ ჯოხით და მუშტით სცემა, დასისხლიანებული მთელი დღე ქუჩა-ქუჩა ათრიეს. ტელეგრამით გადმოცემული სიტყვა „თვით გასამართლება“ მკვლელობით იყო გაგებული გაზეთების მიერ, რის გამოც მეტის მეტი გაუგებრობა დაიბადა.

სამღვდელოების კრებაზე (დეპეშით) იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრების დახურვის წინ მიტროპოლიტ ანტონმა მის გარშემო შექმნილ მდგომარეობის გამო უარი გაბაცხადა იმერეთის კათედრის დაჭერაზე კრებამ დელეგაცია გაუგზავნა და სთხოვა მიტროპოლიტს თავის განზრახვაზე უარი ეთქვა. მათმა მეუფემ თხოვნა შეიწყნარა და განზრახვის სისრულეში მოყვანა გადასდო ეპარქიის საგანგებო კრებამდე, რომელიც დანიშნულია მაისის ოთხ.

„მოლოტ“-ის და „აზატამარტ“-ის გამოცემა მობილიზაციის გამო დროებით შეჩერდა.

ერევნის გუბერნიაში. უკანასკნელად მომხდარ ამბების დროს მთლად აუკლიათ მაჰმადიანთა 18 საუკეთესო სოფელი. სომხური ნაწილები 20 ვერსის მანძილზე უშენდნენ ზარბაზნებს რკინის გზის ორივ მხარეს. მრავალია დახოცილი მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები.

„ამირანი.“ სამხედრო კავშირის განყოფილება საგარეჯოში საზოგადოება „ამირანი“, სამშაბათს, 6 მარტს ახალ კლუბში ჰმართავს გიმნასტიურ მუსიკალურ სადამოს. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

საზოგადოებანი და კრებები

ქართველ მსახიობთა კრება. ოთხშაბათს მარტის 7-ს ქართული კლუბის შენობაში დღის 12 საათზედ დანიშნულია ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის წევრთა მორიგი წლიური კრება.

ილია ივანეს ძე ქიმერიძის, ტომსკის უნივ. მეხუთე კურსის სტუდენტის სახელის აღსანიშნავად ღიდან გარდაცვალებისა ერთი წლის თავზედ განსვენებულის ძმამ მიხეილ ქიმერიძემ ქართულ უნივერსიტეტს მის საჭიროებისათვის ხუთასი მანეთი შესწირა.

ავაზაკთა რაზმის შეპყრობა თბილისში

პარასკევს, მარტის 2, ნაშუადღევის 4 საათზე შეიპყრეს თბილისის ავაზაკთა საუკეთესოდ მოწყობილ-შეკავშირებული რაზმი რომელსაც ბრალდება რამდენიმე პირის მოკვლა, და ათასგვარი ცარცვა-გლეჯა. რაზმს მეთაურობდა ცნობილი გაქანებული ქურდი „კოლკა მალაკანი“, ხოლო რაზმის უფროსად ანუ, როგორც თვითვე სთქვა, „კაპელმეისტრად“ იყო მესტიევი, რომელიც კინტოს როლში ხშირად ესაკოვსკეებისცირკში გამოდიოდა. რაზმში შედიოდა რამდენიმე ოფიცერი და ციხიდან გამოშვებული თუ ჯარიდან გამოქცეული პირები. რაზმს საკუთარი შტაბი ჰქონდა მოწყობილი საარტილერიო ყაზარმებში (ვერაზე) შტაბში ხსენებული რაზმი თავისუფლად სწავლობდა ვინტოვკების, რევოლვერებისა და ასე გასინჯეთ ტყვიისმფრქვეველების ხმარებასაც. ბევრს ეგონა, რომ იგი პარტიზანული რაზმი იყო და ფრონტზე წასასვლელად ემზადებოდა. რაზმის წევრები თითქმის ყოველ მიტინგზე გამოდიოდნენ და თავი ბოლშევიკებად მაჰქონდათ ხოლმე. რაზმი შემდეგ პირობებში იქმნა აღმოჩენილი: მარტის 2 დილის 10 საათზე ვერის ხიდზე 12 ჯარის კაცის მაზარაში გამოწყობილმა უცნობმა 3 ეტლი გააჩოლეს.

გაიარეს ხიდი, კიროჩნის ქუჩა და მიხაილის პროსპექტი. უცნობები გაქანებულ ეტლებიდან თავთავიანთ პოსტებზედ მდგარ მილიციონერებს უშენდნენ თოფებს და ხოცავდნენ. ასე მოჰკლეს 8 მილიციონერი და დაჭრეს 4. ყოველივე ეს სასახლეს ეცნობა ამავე დროს შეატყეს, რომ ბოროტგამზრახველები ბორნით გადადნენ ტბაზე და საარტილერიო ყაზარმებს შეაფარეს თავი. დაუყოვნებლივ გაგზავნეს რამდენიმე ჯარის კაცი, მილიციონერი და წითელ გვარდიელი რიცხვით სულ 150 კაცამდე. მათ მეთაურობდა მილიციის უფროსი კონიაშვილი, საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტის წევრი ჯულელი, მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტის წევრი ვერეშჩაკი და ოფიცერი ინნაძე. რაზმმა სრული იერიში მიიტანა ყაზარმებში შეფარებულ ბოროტგამზრახველებზე. ამ უკანასკნელებმა სროლით უპასუხებს. ხანგრძლივ სროლის შემდეგ ავაზაკები დაჰნებდნენ. სროლის დროს მოჰკლეს რაზმის მეთაური „კოლკა მალაკანი“, მეთაურის სიკვდილის შემდეგ ავაზაკები, რიცხვით 35 კაცამდე, დაჰნებდნენ. შეპყრობილები სასახლეში ამოიყვანეს. გამოძიება აღმასრულებელ კომიტეტის ბიუროში მოხდა. ავაზაკები გადასცეს გახსაკუთრებულ სარევოლუციო ტრიბუნალს. ტრიბუნალმა ღამის 12 საათზე 12 ავაზაკის შესახებ სიკვდილის განაჩენი გამოიტანა. თებერვლის 3 გათენებისას ეს 12 ავაზაკი გაყვანეს და ვაკეში დახვრიტეს.

საარტილერიო ყაზარმაში აღმოჩენეს უთვალავი იარაღი, ღვინო, ტყვიის ტყორცვეველები, ეტლები ცხენებით და ასე გასინჯეთ აყვანომობილები, აუარებელი წერილები და იმ პირთა და დაწესებულებათა სია, რომელნიც უნდა გაეცარცვათ. სასამართლოში გამოიკვა, რომ მათ მოეკლათ ვერის პარკთან გენერალი კარნაუხოვი და სახაზინო თეატრის დიდ ბაღში კომერსანტი ბ. ნეფიროვსკი. მათვე გაეცარცვათ რუსულ კლუბის მოთამაშენი, ესიკოვსკის ცირკი და სხვა. ავაზაკებს აღმოაჩნდათ კარნაუხოვის ავტომობილი, რომელიც ყვითელ ფერათ გადაეღებინათ. ავტომობილი ფირმის ნომრით იცნეს. შეპყრობილები უმთავრესად ახალგაზდანი არიან. მათ შორის 4 ოფიცერი. გამოირკვა, რომ დახვრეტილ იქმნენ: ნიკოლოზ ბადრიძე („ბავშვი“), ქაბუშაძე დავითი, ლუკაშვილი გაბრიელი, ტერ-მესროფოვი („ძამდო“), ხეჩუაშვილი გაბრო, გულქედაშვილი ვასო („ბედნი კიტაი“), კოვალევსკი ანატოლი, ქართოლაძე გიორგი, ნათაძე ზაქარია, („თარსი“), ხელაძე ნიკოლოზი („ბარინი“), კაზიშვილი მიხეილი, მახუტაშვილი არჩილი. დანარჩენები სახელდობრ: მესამე ქართულ პოლკის ტყვიისმფრქვეველთა რაზმელები: სიმონ ძერული, სოლომონ ზარიმაშვილი, პეტრე პეტრეაშვილი, ლუკაშვილი ალექსანდრე, მახპანაშვილი ალექსი, იორდანაშვილი ზაქარია, იოსებ გოგიტაშვილი, ლომსაძე პეტრე, მგალობლიშვილი მიხეილ, სალაკაშვილი გიორგი, სეხნიაშვილი ივანე, ბედიაშვილი ზაქარია, კიკნაძე ზაქარია, ლოლაძე იოსები, ბეჟანიშვილი ივანე, კონსტანტინე ნინიკვი, სახლთხუციშვილი ალექსი, გამალოვი გიკა, იოსებ შიუკაშვილი, ქართველიშვილი გიორგი, ბეჩაშვილი სიმონ, სალიხარაძე გრიგოლ, კურდიანიძე გარეგინ, ხუცერაშვილი სოლომონ, ავაკიანი მინასი, ბეღურაშვილი დავითი, ხითარიშვილი გიორგი, ზადიკაშვილი გრიგოლ, ვაშაკიძე ნიკოლოზ და ისრაელიანც გიორგი სასამართლოში არიან მიცემულნი და მათი გამოძიება ჯერ კიდევ სწარმოებს.

გაზეთი და პარტიის საორგანიზაციო საქმე არა ჩვეულებრივ ხარჯებს მოითხოვს. ყოველი პარტიის წევრი ვალდებულია პარტიას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.

გათომში

ქუთათელაძის ბრძანება

მიხეილის ციხის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა ქუთათელაძემ შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ბათომის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით თებერვლის 22-დან მიხეილის ციხის რაიონი ითვლება ფრონტად, ამიტომ საბჭოსთან შეთანხმებით, ებრძანებ სრულდებოდეს ქვემოდ მოყვანილი ყოველივე დადგენილება:

1. მეციხოვნეთა ყველა ნაწილებმა აწარმოვონ სამხედრო მეცადინეობა და ყველაფერში წესდებით იხელმძღვანელონ.

2. ყველა ჯარისკაცები და ოფიცრები მეცადინეობის დროს უნდა იყვნენ თავთავიანთ ნაწილებში, როტებში, ესკადრონებში, ბატარეებში, ასნულებში და კომანდებში.

3. არც ოფიცერს და არც ჯარისკაცებს ქალაქში ვინტოვკების ტარების უფლება არა აქვს. იარაღის ტარება შეუძლიანთ მხოლოდ სამსახურის ასრულების დროს. მაშინაც იარაღის მტარებელს სათანადო მოწმობა უნდა ჰქონდეს.

4. როტის კომიტეტების ან და როტის უფროსის ნებადაურთველად არც ერთ ჯარისკაცს არა აქვს უფლება ყაზარმას გამოსცდეს.

5. შინაურ წესიერების დასასყარებლად და სამხედრო მეცადინეობის საწარმოებლად უფროსებმა უნდა ისარგებლონ კომიტეტებით.

6. კომიტეტებმა პასუხი უნდა აგონ ნივთიერ ხარეზზე და იარაღზე.

7. ციხიდან იარაღით ყველას წასვლა აკრძალულია.

8. როტების, ესკადრონების, ბატარეების ასეულების და კომანდების უფროსებმა თავთავიანთ ნაწილების შემოწმება უნდა მოახდინონ დილის და საღამოს 8 საათზე.

9. დათხოვნა და არა სამსახურის საქმეებზე გაგზავნა უნდა შესწყდეს.

10. ეს ბრძანება წაიკითხოს ყველა საჭიროებისა ორგანიზაციებს, ცალკე ნაწილების უფროსებს, როტებს, ბატარეებს, ასეულებს, ესკადრონებს და კომანდებს. ბრძანება ყველის უუარიდ ცხოვრებაში იქმნეს გატარებული.

11. ისინი ვინც ამ ბრძანებას გაგაუხვევენ ან არ აასრულებენ დაუყოვნებლივ გადაეცემიან სამხედრო-სარევოლუციო ტრიბუნალს.

12. კომიტეტები სამხედრო მეცადინეობაში არ უნდა ჩაერევინენ.

13. კომიტეტები უსაქმობისა და ამ ბრძანების აუსრულებლობის გამო სამხედრო-სარევოლიუციო ტრიბუნალში მიეცემიან.

სპარსეთში

თავრიზიდან ურმიაში მოხდარ ამბების შესახებ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იტყობინებიან.

გუბერნატორმა ოფიციალი პროტესტი განაცხადა ასირიის და სომხურ ნაწილების შედგენაზე. ამავე დროს გერმანელების და ოსმალების აგენტები გაცხარებული მუშაობდნენ. ოსმალები იარაღდებოდნენ. ამას თებერვლის 8-ში შეტაკება მოჰყვა. გუბერნატორმა არ მოისურვა ურმიაში და ურმიის რაიონში წესრიგის დასამყარებლად ზომების მიღება. არ შეადგინეს ეროვნებათაშორისო კომიტეტი. თებერვლის 9-ს, ნაშუადღევის 3 საათზე სპარსელები ასირიის ბრიგადის პატრონების ტრანსპორტს დაეცნენ, ტრანსპორტი გიულმან-ხანიდან მოდიოდა. ტრანსპორტის მცველებმა თავდამსხმელები მოიგერიეს, ეს გაუხდათ საბაბად, რომ ქუჩაში ბრძოლა გაეჩაღებინათ. ბრძოლა გაგრძელდა მეორე დღის ნაშუადღევის 3 საათამდე. სპარსელებმა თეთრი დროშა აფრიალეს. სეიდების დეპუტაცია ასსირიის შიმუნს წარუდგა საზავო მოსალაპარაკებლად. ბრძოლაში მონაწილეობდა ასსირიის არტილერიაც, როცა აღაპეტრიოსის დრუჟინას სპარსელები შემოეტრტყნენ, ალა-პეტროსმა არტილერიის წყალობით შესძლო გზის გამოკაფვა. მას დაეხმარა მამედ-ალი, სიმკოს ძმა და დრუჟინამ ქალაქი დაიპირა. ბრძოლაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სპარსეთის ყაზახები. მათი ერთი ნაწილი ასსირების წინააღმდეგ გამოვიდა და განდევნა. დანარჩენი ნაწილი ქალაქის ყაზარმაში დარჩა. ზავზე მოლაპარაკების დროს ამ ყაზარმის მახლობლად გაიარა ასსირიის ბატარეის ურმებმა ორ ზარბაზნით. ურმებს ყაზარმების სახურავებიდან სპარსელ ყაზახებმა სროლა აუტეხეს. მათ რუს ოფიცრებისგან ამის ბრძანება არ მიუღიათ. ურმებს შიმუნის ცხენოსანთა რაზმი მიეშველა. ხსენებულ რაზმმა ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ყაზარმა დაიპირა, ჩამოართვა იარაღი, სახაზინო ფული და გაიტაცა ქონება. ყაზახები გაიქცნენ. რამდენიმე ყაზახი მოკლეს რუსი ოფიცრები საელჩოში შეეფარნენ. სადამოს სროლა შესწყდა, მაგრამ ცარცვა-გლეჯა უფრო გაჩადდა. გაჩნდა ეპიდემიც. თებერვლის 11-ს სპარსელებს წარუდგინეს ულტიმატუმი როგორც ეროვნულ ჯარების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს. ულტიმატუმით მოითხოვენ ეროვნებათა შორისო საბჭოს დაარსებას, იარაღით შეტაკების მომწყობთა და გუბერნატორის წარმოდგენას. ულტიმატუმი სპარსელებმა მიიღეს. ბრძოლის დროს მოკლულია ერთი რუსი ოფიცერი, დაჭრილია 2, მოკლულია 2 ფრანგი სანიტარი, დაჭრილია 2. სპარსელებს შორის მოკლულია 30. ქრისტიანებს შორის მოკლულია 40.

გენერალი ლიახოვი

ორი დღეა თბილისში ხმა დადის, რომ ბათუმის რაიონის ჯარების უმფროსად გენერალი ლიახოვი ინიშნება. ხმები საშინელ ადშფოთებას იწვევს საზოგადოებისას. გენერალი ლიახოვი, როგორც ყველამ უწყის, სპარსეთის რევოლიუციის გმირია. მან დაახრჩო სპარსეთის რევოლიუცია. როდესაც ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, იგი ბათუმის კამენდანტად და შავიზღვის რაიონის ჯარების უფროსად დაინიშნა. შავი ზღვის რაიონში გენერალმა ლიახოვმა დიდხანს ითამაშა შავრაზმული როლი და მთელი აჭარა აოხრა. თვით ომი, რომელსაც ეწეოდა ამ რაიონში გენერალი ლიახოვი, მხოლოდ „პუფი“ იყო და მთელი მისი სტრატეგიული ნიჭი მხოლოდ ოსმალოს ჩეტნიკებთან და თვით აჭარლებთან ბრძოლაში გამოიხატა. მაშინდელი მეფის მთავრობაც კი დარწმუნდა, რომ გენერალი ლიახოვი შავი-ზღვის პირად კომედიას აწარმოებდა და მოიწადინა რაიონში ჯარების შემცირება. მაგრამ გენ. ლიახოვი ხელოვნურ ბრძოლებს მართავდა და არწმუნებდა მთავრობას რომ შემცირებას კი არა, პირიქით ჯარების გაძლიერებაა საჭიროო.

ყველას ახსოვს აგრედვე მისგან შექმნილი აჭარელთა პროცესი. ლიახოვის წყალობით მრავალი აჭარელი დახვრიტეს და მრავალი ციმბირში გადაასახლეს. როდესაც რევოლიუციის დროს იგი გადაყენებულ იქმნა უფროსობიდან, ყველას ეგონა, რომ ლიახოვს პასუხისგებაში მისცემდენ და როგორც რეაქციონურ გენერალს, გადაასახლებდენ კავკასიისდან. ეხლა პირიქით ხმები დადის, რომ მას კვლავ ნიშნავენ და ნიშნავენ ასეთ პასუხსაგებ თანამდებობაზე.

საჭიროა ავტორიტეტული განცხადება ვისგანაც ჯერ არს, რომ საზოგადოება ზედმეტ ნერვოზობისაგან ვიხსნათ.

მიწის საკითხი

საადგილ-მამულო კომისიაში

ამიერ-კავკასიის სეიმის საადგილმამულო კომისია უკვე შეუდგა მიწის საკითხის განხილვას.

მიწის ნორმა

1 მარტს განხილულ იქნა მცირე კომისიის მოხსენება მიწის ნორმის შესახებ. მცირე კომისიამ გაარჩია საადგილმამულო უწყების მიერ წარმოდგენილი ყველა მასალები. კერძო მესაკუთრეთა მამულები დანაწილებულია სამ კატეგორიად: კულტურული მეურნეობა (ვენახი, ბაღი, ბალი და სხვ.). ხორბლეულობის მეურნეობა და საქონლის მოსაშენებელი მეურნეობა.

პირველ კატეგორიისათვის ნორმა, რომლის დაბლა არ უნდა ჩამოერთვას მესაკუთრეს მიწა, საადგილ-მამულო თათბირს განუსაზღვრავს 20 დესეტინით. მეორე კატეგორიისთვის—40 დეს. მესამე კატეგორ.— 60 დესეტ.

მცირე კომისია და აგრარული კომისია პრინციპიალურად თანახმანი არიან, რომ ნორმის გამომუშავებას საფუძვლად დაედვას მეურნეობის კატეგორიებად დაყოფის პრინციპი, მაგრამ 20, 40 და 60 დეს. მეტად დიდ ნორმად მიჩნიათ, ვინაიდან ჩვენში მიწის ფონდი განსაზღვრულია. აღნიშნულ კატეგორიებისათვის საკმაოთ იცვნეს ნორმები 7, 15 და 40 დესეტინა. საადგილ-მამულო კომიტეტებს შეუძლიათ გააადიდონ ეს ნორმა 10 დესეტინამდე პირველ კატეგორიისთვის, 20 დეს. მეორე კატეგორ. და 50 დესეტ. მესამე კატეგ. საადგილ-მამულო კომისიის გადაწყვეტილებით სამოსახლო ადგილებიც (ეზოები) შედის განსაზღვრულ ნორმაში,

ნორმის შესახებ საკითხი კომისიამ ერთხმად გადასჭრა. თავი შეიკავა მხოლოდ ერთმა „მუსავატის“ წარმომადგენელმა.

მიწის საკითხი გურიაში

თებერვლის 11 ოზურგეთში საადგილმამულო ყრილობა დაიწყო. მისი მიზანი იყო, ისეთ პრაქტიკულ ზომების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა მიწის დეკრეტის განხორციელება. ყრილობისაგე მიზანი იყო ადგილმამულის რაოდენობის ნორმის გადაწყვეტა, რომლის მომეტიც მემამულეებს უნდა ჩამოერთვათ. ყრილობაზე გამოცხადნენ 19 საზოგადოების წარმომადგენლები, 3 საარაონო კომიტეტის წარმომადგენელი და აგრეთვე სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტის წარმომადგენელი.

მოხსენების შემდეგ ყრილობა შეუდგა მორიგ საკითხის განხილვას, რის შემდეგაც გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილებანი:

საადგილმამულო ნორმა.

საადგილმამულო უდიდეს ნორმად ყრილობამ გადასწყვიტა 20 ქცევა ($7^1/_2$ დესიატინა) 20 ქცევაზე ნომეტი მამული ყველა მემამულეს უნდა ჩამოერთვას. საადგილმამულო ნორმაში შედის სახნავი, ფუძე და ბალები. ამ ნორმაში მხოლოდ საზოგადო ტყეები არაა მითვლილი. ამ ოც ქცევა ადგილმამულის ამორჩევა ევალება ადგილობრივ საადგილმამულო მმართველობას და გლეხთა საბჭოებს. ადგილმამულის ამორჩევა უნდა ხდებოდეს მემამულესთან შეთანხმება-მორიგებით. ზოგიერთ შემთხვევებში, განსაკუთრებით კულტურულ მეურნეობის წარმოების დროს, მემამულეს შეუძლია 20 ქცევაზე მეტი ადგილი დაინარჩუნოს. ასეთ შემთხვევაში მემამულე მოვალეა ნორმაზე მომეტ ადგილის იჯარა იხადოს.

იჯარა.

მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწები საადგილმამულო მმართველობათა ხელში გადადის. საადგილო მმართველობა მიწებს იჯარით არიგებს. ერთ ქცევა პირველ ხარისხის მიწაზე მოიჯარადრემ უნდა გადიხადოს წელიწადში 3 მანეთი; მეორე ხარისხის მიწაზე 2 მან. და მესამე ხარისხისაზე 1 მანეთი. პირველ ხარისხის მიწად ჩაითვლება ის მიწა რომლის ერთი ქცევაც 50 ფუთამდე სიმინდს იძლევა. მეორე ხარისხისად—რომელიც 25 ფუთამდე იძლევა, ხოლო მესამე ხარისხისად—რომელიც 25 ფუთზე ნაკლებს იძლევა.

სახნავ მიწების განაწილება

სახნავ მიწებს საზოგადოებაში გლეხთა საბჭოები ანაწილებენ, რაიონებში—თვითეულ რაიონის საადგილმამულო მმართველობა; მაზრაში საერთო ხელძღვანელობა ევალება მაზრის საადგილმამულო მმართველობას. მიწები ნაწილდება მიწათმოქმედთა შორის იმ კვალობაზე რამდენი სიმინდიც სპირდება ამა თუ იმ კომლს, მიწების დაყოფის დროს უპირატესობა ეძლევათ მიწის ნუშებს; დანარჩენი მიწა დანარჩენ მცხოვრებთა შორის ნაწილდება. არც მინიციპალური და არც კერძო მესაკუთრეთა მიწები დაუთესავი არ უნდა დარჩეს. იმ რაიონებში სადაც უმეტესად სიმინდი მოდის შესაძლოა საადგილმამულო ნორმა საარაონო ყრილობამ გაადიდოს. ეს ზომები საველდებულოა მხოლოდ წელს. ამ ზომების განსახორციელებლად რაიონის საადგილმამულო გამგეობანი დაუყოვნებლივ იწვევენ საზოგადო ყრილობებს ნორმაზე მომეტ მიწების რაოდენობის გამოსარკვევად.

ტყეების დაცვა.

ტყეების დასაცველად ადგილობრივ ყოველი ზომები უნდა იქმნეს მიღებული: ტყეების დაცვა უნდა მოხდეს საადგილმამულო მმართველობათა მიერ შემუშავებულ გეგმის მიხედვით.

საძოვარი.

მუნიციპალურ საძოვრებზე უნდა დაწესდეს ფასი. ადგილობრივი მცხოვრებნი თითო სულ მიხვილფუნა საქონელზე იხდიან 25 კაპ. წვრილფეხზე—15 კ. მწყემსები მსხვილფეხა საქონელზე იხდიან 1 მანეთს, ხოლო წვრილფეხაზე 50 კ. ეს ბარში. იალაღების საკითხი ჯერ განუხილველი რჩება.

მადნეულობა.

საადგილმამულო მმართველობათა ნება დაურთველად არავის არა აქვს უფლება მადნეულობის თხრისა.

თევზის ჭერა.

აკრძალულია ასაფრენ ქუნდ-მასალით თევზის დახოცვა თუ მოწამვლა.

გადასახლება.

მაზრის საადგილმამულო მმართველობის ნებადაურთველად მუნიციპალურ მიწაზე გადასახლება აკრძალულია.

თავნებობით დაჭერილ მიწები უნდა გაანთავისუფლონ დაჭკრებმა.

დასასრულ ყრილობამ იმედი გამოთქვა, რომ სეიმი სამოლოვოდ გადასწყვეტს მიწის საკითხს, შეჯერებულს დემოკრატიულ ზავის შეკვრას და რევოლუციით მოპოვებულ ყოველივეს ცხოვრებაში გაატარებს. ხოლო რევოლუციით მონაპოვებთა დასაცავად გურია მუდამ მზად იქნება იარაღ ასხმული გამოვიდეს.

მიმკრავლი შარავანდედი

ყველგან და ყველასაგან ჭეშმარიტებათ მიღებულია ის აზრ-ებულება, რომ ქრისტიანობა შეურყეველ საფუძვლათ დაედო თანამედროვე კაცობრიობის კულტურა-ცივილიზაციას, რომ ის უმრეტი წყარო იყო ყოველივე ჰუმანიურ და ზნეობრივათ მაღალ პრინციპების. ქრისტიანობის მოწინააღმდეგენი და მტერნიც კი, ყარის მყოფელნი მისი ზეუნებიურ წარმოშობისა და დოდმატებისა, იძულებული არიან მისი დიდი განმანათლებელი ნიშნეულობა კაცობრიობის ზრდა განვითარების საქმეში. აწი რა იქნება ვინ იცის, და დღემდის კი კაცობრიობას ვერ შეუქმნია ისეთი კულტურა, რომელიც ქრისტიანულ კულტურაზე არა თუ მაღლა, თანასწორ და გვერდით მაინც იდგეს. ყოველი თანამედროვე სხვა და სხვა სახის და შიმართულების კულტურული დაწესებულება ან ინსტიტუტი, ხელოვნების სხვა და სხვა დარგი, რომლითაც თავი მოსწონს და ამაყობს თანამედროვე კაცობრიობა და რომლის წარმომადგენლები, შეგნებულათ ან შეუგნებლათაც, უარყოფენ ქრისტიანობასთან კავშირს, უნებლიეთ განიცდიან ქრისტიანობის ზნეობრივ პრინციპის აუცილებელ ზეგავლენას.

თანამედროვე განათლებულ კაცობრიობის ცხოვრება მთლად გაელენთილია ქრისტიანული აზრ-შეხედულობით, ზნეობრივი პრინციპებით, სიზოგადოთ ქრისტიანული სულით. იქაც კი შეაჩნევს დაკვირვებული ადამიანი თვალი მის ქრილვა-ბოძრაობას, სადაც ის პრინციპიალურათ დაუნიდ-უარყოფილია. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე სოციალიზმი, მთლად დამყარებული ქრისტიანულ პრინციპებზე და მის წიაღსა შინა ჩასახულ-დამბადებული.

თანამედროვე ევროპიელ ერების კულტურა-ცივილიზაცია ქრისტიანობასთან ერთად დაიწყო. უმთავრესი ცენტრები, ან კერა განათლებისა, მომეტებულათ პირველ ხანებში, ყველგან სულდარ მონასტრები იყო. უპირველესი და საუკეთესო წარმომადგენლები ამ განათლებისა სამღვდელოება იყო. ამ საზოგადოთ უეჭველ ჭეშმარიტებათ მიღებულ დებულებას ვერ შეცვლის ზოგიერთი ისტორიულათ ცნობილი სამღვდელოების შოქმედების სამარცხვინო და სათაკილო ფაქტები (ინკვიზიცია, მეცნიერების და მისი წარმომადგენლების დევნა, ცხოვრების შესახებ ბნელ-ასკეტიურ შეხედულობის ქ დაგება-დამყარება, ფანატიზმი და სხვა...)

ჩვენშიაც ქრისტიანობის მიღება-დამკვიდრებას თან მოყვა განათლება-კულტურის დამკვიდრება.

ჩვენი ლიტერატურა თავდაპირველათ და უმთავრესათ სასულიერო იყო. ჩვენი პირველი მთარგმნელი და მერე ორიგინალური მწერალნი ბერები იყვნენ. ჩვენშიაც მონასტერში ენთო უმრეტი და მოკაშკაშე ლამპარი ცოდნა-მეცნიერებისა. მოზარდ თაობის აღზრდა-განათლება, პედაგოგიური მეცნიერების გადმონერგვა, საღვთისმეტყველო, საფილოსოფო და საბუნებისმეტყველ მეცნიერების შემუშავება: ხელოვნების სხვა და სხვა დარგის მხატვრობისა, მუსიკის, პოეზიის—შეკნეგაგრცელება,—საყველაფერი ეს ჩვენში მე-18 ე საუკუნემდის უმთავრესად ქრისტიანობის წარმომადგენლების ხელში იყო.

მართლაც ვინ იყვნენ ჩვენი ლიტერატურის დამწყებ დამფუძნებელნი?—ბერები—სტეფანე, იოანე, მიქელი; ვინ იყვნენ საუკეთესო მცოდნენი ქართული ენისა და შეუდარებელი მთარგმნელი?—იოანე, ეკვთიმე, გიორგი მთაწმინდელი; ვისგან დაგვრჩა საუკეთესო და იშვიათი საუნჯე („საგალობელი“) მეათესაუკუნისა?—ეიქელ მოდა რეკილისაგან. ვის შეეთვისა ზედმიწევნით ადმოსავლეთის ფილოსოფია და-

თითონ ვახდა საუკეთესო თანამედროვე ფილოსოფოსათ?—ითანე პეტრიწელი. ვინ იყვნენ წინდახედულნი და სამგალითო რეფორმატორნი? ეკვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. ვინ უდგა სათავეში ხალხისაგან და მეფეთაგან უადრეს ნდობა-ავტორიტეტით აღჭურვილი, სახელმწიფო საქმეებს, კერძოთ მხედრობას?—ეკონდიდელი. ვის ხელში იყო უმაღლესი სასწავლებლები საქართველოში?—იყალთოელების. ერთი სიტყვით, ვინ ჩამოთვლის დაუფიწყარსა და უკვდავ დვაწლს და შრომას ჩვენი სამშვდელოებისას?!

სასულიერო წოდებამ განგვიმტკიცა ჩვენი საერთაშორისო უფლება-დამოკიდებულება. მან მომეტებულათ მოგვიგებია სახელი ქრისტიანობრივ რაინდობისა და შეუდრეკელ ქრისტეს აღსარებლებისა. გიხსენეთ, მაგ., ითორნიკე ერისთავი და ზოგიერთი სხვა ბიზანტიის იმპერატორების ნდობით აღჭურვილნი, სასულიერო გმირ-მოღვაწენი! ვინ აქეზებდა მეფე-წარჩინებულთ ქრისტიანულ მოქმედებისათვის შინა და გარეთ?—სამშვდელოება. სინა, იერუსალიმი, შავი მთა, ათონ—ვინ მოეფინა ქართულ მონასტერ-თავშესაფრებლებით?—სამშვდელოებამ. სამაგალითო მოქალაქეობრიობა, დრმა სიყვარული მამულისადმი და შეგნებული ეროვნული თვითცნობიერება ჩვენი ჩველი სასულიერო წოდებისა ხომ ყველასაგან ცნობილი და უეჭველი ფაქტია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ჭირ-ლუხისაგან შეპეულ-დახრული გულჯერები და სიგელები, ულმობელ დროისაგან და ჩვენი უვიცობისაგან დანგრეულ-შეურაცყოფილი საყდარ-მონასტრები და მათი გალავნები ხომ ხმა-მაღლა მოგვითხრობენ მათ მამულიშვილურ და სამაგალითო მოღვაწეობას! ამას დაუმატეთ ის იშვიათი მოვლენაც მთელს მსოფლიო ისტორიაში, რომ ჩვენი სასულიერო წოდება არას დროს არ ყოფილა ფანატიკური და კლერიკალური იდეებით გაჟღენთილი. ისეთი სერიოზული საეკლესიო ძირითადი რეფორმა, რომლის მზგავსაც რუსეთში დიდი განხეთქილება და მწვალებლობა გამოიწვია, ჩვენში მე-11-ე საუკუნეში მოხდა წყნარად, თანხმობით, შეგნებულათ, ვინაც დგან ჩვენში ნაკლებათ იყვნენ ნიკიტა პუსტოსვიატების და დვდელი ლაზარესთანა უკიდურესი ფანატიკოსები.

ერთის სიტყვით, რითაც ჩვენ თავი მოგვაქვს და ვამაყობთ, რაც აშშვენებს ჩვენს და საზღვარ-გარეთელ მუზეუმებს და წიგნთ-საცავებს და მეტყველობენ და მოწმობენ ჩვენ კულტურულ ისტორიულ წარსულზე,—სუყველაფერი ეს მომეტებულათ სამდვდელოების ნაამაგარ-ნაღვაწევია... ამის უარყოფა შეუძლებელია!

ასეთი მრავალმნიშვნელოვანი არიან საქმენი ჩვენის სამშვდელოებისა! ასეთს მოწიენაც და საამაყო ელემენტს წარმოადგენდა ის ძველ საქართველოში!

დღეს?—დღეს „ალარ არიან, ალარ ისმიან"—ნამდვილი ძველებური მოძღვარ მასწავლებელნი. მეცხრამეტე საუკუნეში ჩასვლია ხამარეში სხვი წარსულის მათის დიდებისა. როგორ და ნარჩენ ჩვენი ერის სხვა ელემენტს, მასაც დაეტყო დალაჩრება,—დაწვრილმანება, ეს-ეს არის მას ხელიდან დაუვარდეს, თუ კი ჯერაც არ დაეკარგა, სულიერ წინამძღოლ-ბელადის დროშა. თვითცნობიერების უქონლობა, ბური და ბუღალი, ბუნჯობა და სახოგადოთ გონებრივ-ზნეობრივი ჩამოქვეითება—ეს საერთო ქართველების სულიერი ავადმყოფობა—მის თვისებასაც შეადგენს. დღესდღეობით ის ბეცნიერებას ჩამოშორდა; ქადაგება არ ეხერხება, მასწავლებლობას გაუბრის; ეკლესია-მონასტრები არ ინტერესებს; დაჩაგრულს არ ქომაგობს; სულიერი სიძნელ-სიძლიერე, ქრისტიანული თავდადება და სიმართლისათვის ტანჯვა-წამება მის ცხოვრებაში იშ. ვიათი მოვლენაა.

იშვიათად, ძლიერ იშვიათად გამოაშუქებს ხოლმე და ისიც, რასაკვირველია, ნაკლები სიძლიერით თანამედროვე სასულიერო წოდებაში სული სახელოვან წინაპრებისა. თორმეტ მარტიდგანაც იგი ვერ ამაღლდა, ვერ გაითავისუფლა თავი პირად ანგარიშების წარმოებისაგან, ვერ მოიერია თანხმობლივი, სოლიდარული, შეგნებული და ნაყოფიერი საუშაობა. თავისუფლების შეკმაც, მისმა სიამო ნიავმაც ვერ დაუშოშმინა, ვერ დაუწყნარა მას პირად და ეგოისტურ გრძნობა მისწრაფებისაგან აშლილ-აწეწილი ნერვები. და დღესაც, როდესაც მთელ საქართველოს შავი ყორანი თავს დასხმია, ამ ისმის მამობრივი ხმა, ვერ ვხედავთ მის თავგანწირულს მოქმედებას, უანგარო და შეგნებულ შრომას: სადაც მიყუჩებულან ჩვენი სულიერნი ამანი, მიმალულან, ეშინიათ, სათქმელი ვერ უპოვიათ, ქრისტეს ჯვრის ძლიერების იმედი დაჰკარგვიათ... ჩვენ სამშობლოს კი არას დროს ისე არ სჭირვებია საბა ბერები, როგორც დღეს.

მაშ, თქვენ, ერთ დროს სახელოვანნო „წინამძღვარნო", თუ კიდევ დაგრჩენილან ნასახი ქრისტიანულის სიყვარულისა და სამშობლოს ერთგულებისა, თუ კიდევ მთლად არ ჩაფერფლილა თქვენში ენერგია და სულიერი სიმხნეევე, თუ კიდევ შეგიძლიათ ატარეთ მარჯვენით ჯვარი ქრისტესი და შეგწევთ სულიერი სიმტკიცე მისთვის ეწამოთ, მაშ გაეშურეთ იქ, სადაც ძმა ძმის უმანკო სისხლს დვრის, მეზობელი მეზობელს აწიოკებს, ბუჯაღს, ანადგურებს, სიცოცხლეს უსპობს; სადაც ადამიანს დაუკარგავს ღვთის სახიერება, მზეცად შეცვლილა, გაჭრობია სინდისი, ჭკუა, შეგნება, დაქირავებია მტერს, გადაქცეულა ბის შეუბნეველ იარაღად და თვითონვე თავის ხელით ანგრევს საკუთარ ხახლ-კარს და საკუთარ სამშობლოს. ეშურნეთ, ნუ დაგაყოვნებთ, სამშობლო განსაცდელშია! ბიდით იქ, სადაც უფრო სახიფათოა, სადაც მოძმე უფრო გამხეცებულა, სადაც უფრო მეტი უდანაშაულო სისხლი იღვრება! მიდით და საჭიროების მიხედვით შთაგონეთ, დაარიგეთ, უსაყვედურეთ, ანხ

ეთ, გაკიცხეთ, დაწყევლეთ, შეაჩვენეთ კიდევაც ბრიყვნი და უგუნურნი. თუ გაგიგონებენ, ხომ კარგი, თუ არა და დეე შეურაცყოფ, გცემონ, გაწვალონ და დაღვაროონ კიდევაც თქვენი სისხლი. ეს იქნება უპატიოსნესი თავდადება მოყვასისათვის და პირნათლად ასრულება თქვენის მეუფის—ქრისტეს მცნებისა. ეს გაანათებს, გაცისკროვნებს თქვენს მიმქრალ დიდების შარავანდედსა.

იპ. ვართაგავა

ქართველთა ქარხნეგის მოსპოგა მე-19 საუკუნ. დაგდაგს

ამ კოსმოპოლიტურს ხანაში, ქართველებს ხშირად გვაყვედრიან, თქვენ არასფერი იყავით, არც სწაელა გქონდათ, არც ვაჭრობისა იცოდით რამე, არც ქარხნები გქონდათ, არც ხელოსნობისა და არც სხვა რამისა იცოდით რამეო. ყოველივე ეს რუსებმა მოიტანეს საქართველოში და გასწავლესო.

ასეთ კიდოვი საყვედურებს გვაძლევენ არაბც თუ მტერ-მოყვარენი, არამედ ისეთი ქართველნი, რომელთაც არც აწმყოსი და მით უმეტეს, არც თუ წარსულისა იციან რამე.

შეიძლება ზოგნი უმეცარნი და უვიცნი მართალნი იყვნენ, მაგრამ ჩვენ მათს უმეცრების მიდამოთ მოვიყვანთ ისეთ ცხობებს, რომ ქართველებს არამც თუ ბევრი რამ რუსებმა გვაჩუქეს და მოგვანიჭეს, არამედ ბევრი რამ მათის მოსვლის შემდეგ ჩვენ დაგკარგეთ და ამ დანაკარგვის ნაკლულევანება დღეს უფრო წვაგედ ვიგრძნეთ ყველამ მაგალითად:

საქართველოში პირველად შაქრის ქარხანა თბილისში გახსნეს 1719 წ., მცირე ხნის შემდეგ ეს ქარხანა დაიკეტა. შემდეგ დროს, ანუ როცა ეროკლე მეფე გამეფდა, 1770 წ. ინდოეთიდან მოვიყვანენ ხელოსნები და თბილისში გახსნეს შაქრის ქარხანა. აქ მუშაობათ, ხელოსნებათ და შეგირდებათ სულ თბილელი ქართველები იყვნენ და სოფელ საგარეჯოელნი.

ამ ქარხანაში გამოჰყავდათ შაქარი მრავლად. მაშინ თითო თავი შაქრის ხუთა იყო 7 გირვანქა და ლირდა ერთი მანეთი, შაქარი იყო მოყვითალო ფერისა, რბილი ტკბილი. ეს ქარხანა 1796 წ. თბილისში მოისპო. 1798 წ. კვალად განაახლეს და დაიწყეს შაქრის მცირედ გაპოყვანა. 1801 წ. რაკი საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, რუსული შაქრის შეტანა იწყეს საქართველოში და ქართული შაქარი დავარდა, რადგანაც რუსული შაქარი უკეთესი აღმოჩნდა ქართულ შაქარზე. 1803 წ. ეს ერთად-ერთი შაქრის ქარხანაც მოისპო და დაიხურა.

შემდეგ დროს, ანუ 1830 წლებს, თბილისის მოქალაქეებს გაახსენდათ ძველის დროის შაქრის ქარხნების არსებობა თბილისში, ამათ განიზრახეს შაქრის ქარხნის გახსნა და მით შაქრის სიძვირის თავიდან აცილება, თორემ მაშინ რუსული შაქარი საქართველოში გირვანქა ხან ერთ მანეთად იყიდებოდა, ხან 80 კაპ. და 70 კაპ. ნაკლებ კი არა. ქარხნის გახსნისთვის ძველის ხელოსნების მათ ვეღარა იპოვნეს რა. მაინც იაკობ ზუბალაშვილმა და თბილისის სხვა შეძლებულ ვაჭრებმა 1835 წ. თბილისში გახსნეს შაქრის ქარხანა.

აქ შაქრის გამოყვანა დაიწყეს სწორედ ისე იმ სახით, იმ ზომის და იმ ფერისა, როგორც მეთვრამეტე საუკ. გამოჰყვანდათ. შაქარი იყიდებოდა გირვანქა 20 კაპ. სახელად ერქვა „ქართული შაქარი". ეს შაქარი თბილისში იყიდებოდა 1870 წლებამდე, სადმე საგაჭროში რომ მისულიყავით, იქ უსათუოდ უნდა გეთქვათ, რომ ქართული შაქარი მომეცითო, თორემ შეიძლებოდა რუსული შაქარი მოგეცათ.

ქართული შაქრის დასახელება საჭირო იყო. ქარხანაში მუშაობდა 50 კაცი და მათ თვეში გამოჰყვანდათ 1000 ფუთი შაქარი. ამ ქარხნის არსებობამ 1845 წლამდე გასტანა. მერე მოისპო და ქარხნის დიდ შენობაში 1855 წელს, ვერაზედ ქ. თბილისის სახალხო საავადმყოფო იქმნა გახსნილი. ეს საავადმყოფო 1870 წ. მოშალეს და კუკიაში გადაიტანეს, ახლს შენობაში. ძველი შენობა შაქრის ქარხნისა შემდეგ დაქცეულ იქმნა, ამ ადგილას ადგებულია დღეს სამხედრო საოლქო სამართველო, ანუ „ვოენი ოკრუჟნოი სუდი".

ქართული შაქრის ქარხანა ჭეშმარიტად მოისპო. დღეს, დედა ქალაქ თბილისში შაქარი გირვანქა 4—5 მ. ფასობს. ასე და ამ გვარათ, რუსეთის მონარქიის მახვილმა მოსპო და გაქრო საქართველოში ქართველთ შორის შაქრის ქარხანა. დღეს ქართველნი რუსეთის შაქრის შემაცქერალნი არიან და მიტომაც გირვანქას 4—5 მ. აძლევენ.

ძაფეულობა დღეს ისე გაძვირდა, რომ საწყალ კაცს ერთი აგება ძაფის შოვნაც კი უჭირდება, რადგანაც ადრე თითო კოჭის ძაფი რომ 7 კაპ. იყიდებოდა, ის დღეს 3 მან. ფასობს. ძველად კი საქართველოს დედა ქალაქს თბილისში ძაფის ქარხნები მრავლად იყო, რომელთაც სახელათ „აზაზაზები" ერქვათ. ამათი მთელი ქართველსაც არსებობდა.

ამათ გამოჰყვანდათ აფარებლად ამრეშუმის ფერად-ფერადი ძაფეულობა, შავი, თეთრი, წითელი, ყვითელი, ლურჯი და ვინ იცის რა ფერის არა. მათ ჰყვანდათ ძაფის შულოები. ეს ამრეშუმის ძაფეულობა გირვანქა ხუთ მანეთად იყიდებოდა. ამათ ძაფს ჯიბრში ჩაუდგა რუსული ძაფეულობა და მეტოქეობა დაწყო. ნელ-ნელა საქმე ისე მოიმართა, რომ აზაზებმა იწყეს შემცირება. დღეს მთელს თბილისში მათი ხსენებაც ალარ არის, მოისპო აზაზის ქარხნები და ხელოსნობისა კი ამბობენ, რომ თითო ოროლა ხელოსნები მოიპოებიან ალა იქაო.

ასევე გაძვირდა სარეცხის ლილა. დღეს ლილა გირვანქა 15 მანეთად იყიდება, საქართველოში კი ლილის ასეთი სიძვირე არას დროს არ ყოფილა, ამის მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში მრავლად არსებობდა ლილანის სამღებროები და ლილის გასაკეთებელი ქარხნებიც. ლილა საქართველოში კეთდებოდა ჩინებულათ, ლურჯი, ცისფერი და მასთან მეტად კარგის ფერის. მაშინდელი ლილა გირვანქა იყიდებოდა 25—30 კაპ. დღეს კი ეს ლილა საქართველოში რუსეთის გზით შემოიქვთ და ამიტომ იგი ფასობს გირვანქა 13 მ.

საქართველოში, დღეს ლილახანები კი არსებობენ, სადაც სხვა და სხვა ნართეულობას ღებავენ და ლილის ქარხნები კი მოისპო. ლილის ქარხნებიც დაამხო რუსეთიდან შემოტანილ ლილამ.

ქალალდის საქმე საქართველოში: ძველი დროდამ, რაც ქალალდი მოიგონეს, მის შემდეგ საქართველოში ქალალდი შემოქონდათ ბიზანტიიდამ, მერე იტალეთიდან, შემდეგ ამსტერდამიდან, XVII საუკ. ბოლოს ინდოეთის მიდრისე და კალკუტადან. XVIII საუკ. დამდეგს საქართველოშიაც გახსნეს ქალალდის ქარხანა. 1795 წ. შემდეგ, თბილისში არსებობდა მხოლოდ ერთი ქალალდის ქარხანა. ერთიც იმერეთში იყო. რუსების შემოსვლის შემდეგ, ეს ერთად ერთი ქარხანაც მოისპო, მიზეზი ამისა ის იყო, რომ რუსეთიდან შემოტანილ ქალალდმა ჯობა. ქართული ქალალდი ერთობ რბილი იყო. წყალი მალე ენებდა, ბეჭდვაში კი კარგი იყო.

დღეს ქალალდი ფასობს ასე: წინედ რომ ყოველ-ულობდით ოზმას 4 მან. ის ქალალდი ჰლირს დღეს 80 მან. და ხან მეტიც.

სტამბის საბეჭდი წამლის ქარხანა. სტამბის საბეჭდი პატარა ქარხანა ტფილისში 1720 წ. გახსნეს, გახსნეს, გამხსნელი იყო ვალახიოლმ მოსელი მკოდნე ოსტატები. მაშინ ესენი ამ წამლებს შავს, წითელს და ყვითელსაც აკეთებდნენ სხვა და სხვა მალახებიდან. მიტომაც მაშინდელი დაბეჭდილი წიგნების ასოები დღესაც გიშერივით სჩანს წინებში. სტამბის წამალი ბევრი არ იყო საჭირო, მაგრამ რაც საჭირო იყო, ის კეთდებოდა და მასთან იაფიც იყო. რუსეთის კავშირმა ამასაც მოსდო თვისი ბრეკეტები და 1801 წ. შემდეგ ეს ქარხანაც მოისპო. დღეს მიტომ საქართველოში ფუთი ფასობს 40 მან. 200 მანეთამდე და შედარება რომ იქმნეს მაშინდელი ნაბეჭდი წიგნები საკითხავათ დღევანდლებს ეხლაც კი სჯობს.

მელნის ქარხანა, ანუ თანაქისა. არ ვიცი სიტყვა მელანი ქართულია თუ სპარსული. „მელანს" რუსთველიც იხსენიებს ასე „მელნათ ვიხმარე გიშრის ტბა და კალმათ მინა რხეული". მელნის ისტორია ერთობ ძველია, უცხო ტომთა მელანს ჩვენ არ ვეხებით, ვიმაყრებთ მარტო ქართულ მელანზედ. ქართული მელნის ღირსება კარგათ სჩანს ქართული ძველი წიგნებიდან, აქ მელნით ნაწერი ასოები დღემდე ისეა დაცული, თითქოს დღეს იყენენ ნაწერები, ყოველი ასო დღემდე ქალალდზედ თუ პერგამენტზედ ნაწერი გიშერივით სჩანს. ასეთი კარგი მელნის ქარხანა თბილისში 1803 წ. არსებობდა, ამის შემდეგ კი მოისპო, რადგანაც რუსეთიდან იწყეს მელნის შემოტანა. ქართული მელანი ისე იაფი იყო, რომ ორი გროშის მელანსაც აძლევდენ მყიდველს.

დღევანდელ მელანს კი ორი საათის შემდეგ წყლის ფერი გაძლევა. ფასი კი მისი ორმოცჯერ მეტია, ვიდრე ქართულ ძველი მელნის ფასი იყო. რა თქვას კაცმა, რა ნოიყვანოს ასეთ მოსპობილ ქარხნების შესახებ, მაგალითებრ საყურადღებოა ხაპნახ ქარხნების მოსპობა და ბევრიც სხვა ასეთების, რომელთაც ქართველის ერის გულის გასახეთქად ალარას ვასახელებთ.

ეს გახლავთ ნაყოფი რუსეთის მმართველობის პოლიტიკისა, მისმა მახვილმა განიძარცა საქართველოს მოსპობა მარტოდ მეფობით კი არა, არაფერედ ქართველი ერის მოსპობა მთლად ხელოსნობით, ვაჭრობით, ქარხნითაც და თითქმის ყველასფრით.

ამ ბოროტების წყალობით მოისპო ყველა ის ქარხნები, რომელნიც ზემოთ დავსახელეთ.

ზ. ჭოჭინაძე.

პოლესპონდენცია

ქუთაისიდან

ლეჩხუმის მაზრის ამბები

ამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ქუთაისიდან ქართულ პოლკის დათხოვნილი ჯარისკაცები გაეფანტეს, ლეჩხუმის მაზრა, განსაკუთრებით კი დაბა ლაილაში, ანარქისტულ იდეების ფართე პროპაგანდის ასპარეზად გადაიქცა. აქ თავი მოიყარეს გუბერნიის ყველა კუთხიდან ბნელ ძალებმა. მცხოვრებლები ბევრს რამეში განიცდიან გაჭირვებას და, თქმა უნდა, გაჭირვებული ხალხი მალე ეგება პროვოკაციის ანკესს.

თანდათან პროვოკატორებმა მეტად გაიდგეს ფეხი და მალე მაზრაში ბატონობაც იწყეს. უპირველეს ყოვლისა მათ განდევნეს მაზრის კომისარი ასათიანი, იარაღი ჰპყარეს და განდევნეს მილიცია და შემდეგ სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულება და ტელეგრაფი ჩაგდეს ხელთ. დასწყვიტეს შავთულები და საგუბერნიო ადმინისტრაცია მთლად მოსწყვიტეს ლეჩხუმის მაზრას. საგუბერნიო ადმინისტრაციამ სრულებით არა იცოდა რა, თუ რა ხდებოდა ლეჩხუმის მაზრაში. კანტიკუნტად მოდიოდა შემაძრწუნებელი ამბები. შეიარაღებულ ბანდას და ადგილობრივ მცხოვრებლებს დაუპერიათ ყოველივე მისავალი გზა მაზრისკენ, რომ ჯარისა თუ წითელ გვარდიელებისთვის წინააღმდეგობა გაეწიენათ.

საგუბერნიო ადმინისტრაცია იძულებული იყო ასეთი ხმებით დაკმაყოფილებულიყო, რადგან როგორც შევნიშნე, სხვა ნამდვილი ცნობების მიღება ყოველად შეუძლებელი იყო.

მაგრამ, მით უმეტეს არ შეიძლებოდა ლეჩხუმის მაზრა ადმინისტრაციას მთლად უყურადღებოდ მიეტოვებინა. ეს არც მოისურვეს და ლეჩხუმის მაზრაში წესიერების აღსადგენად გაემგზავრა 200 წითელ გვარდიელი ორ ავტომობილით და იარაღით. ვ საც კი უმოგზაურია ლეჩხუმის მაზრისკენ მან იცის თუ რა ზღაპრული გზებია გასავლელი. ვიწრო ხეობები დრუბლებით მოსილ კლდეებს შუა გადის. ერთ ასეთ კლდესთან სოფ. ალპენის მახლობლად რაზმს რკალად შემორტყმოდენ 1000 კაცამდე. ამავე დროს რაზმელებმა თურმე ისიც შენიშნეს, რომ ალარც წინ და ალარც უკან მათ გამოსავალი ალარ აქვთ. ხიდები ჩაეშალათ. წინ მიმავალ სამმა წითელ გვარდიელმა ხიდზე გადასვლა მოასწრო. ჩასაფრებულებმა ისინი ტყვიდ წაყვანეს. როგორც გადმოგვცემენ, წითელ გვარდიელები ბოსელში შეეყარათ და ორი დღე და ღამე მშიერი ემყოფებინათ.

მაგრე ჩასაფრებულებმა თავიანთი წარმომადგენელი გამოუგზავნეს წითელგვარდიელები და იარაღის აყრა მოსთხოვეს. ამასთან დამუქრებოდნენ: თუ არ დაემორჩილებით ჩვენს მოთხოვნილებას, სულ ამოგწყვეტავთო. კიდევ კარგი, რომ ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ ორივ მხარეს მოეხერხებინათ შეთანხმება.

სხვათა შორის მოლაპარაკების დროს შეიარაღებულ ბანაკს წარედგინა ლევან დადეშქელიანის (ლეჩხუმის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი) ჩექმები და ტანისამოსი. ლევან დადეშქელიანი მათ წინა დღეს მოეკლათ. როგორც გადმოგვცემენ, დადეშქელიანსა და მის სიძეს ყრუაშვილს (ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსი) მოუწადინებიათ, შეკრებილ გლეხების გაფრთხილება. დადეშქელიანი ურჩევდა თურმე, უწყნაობა არ ჩაედინათ და მაზრაში არეულობა არ შეეტანათ. ამ დროს ბრბოში ვიღაცას დაეძახნა:

— გიცნობთ, 1905 წელსაც შენ შემოსულიე სვანეთს გენერალ ალიხანოვის რაზმი და ეხლაც ასე იქცევი.

— მე არავითარი რაზმი არ შეშამისყვია.

— სულ ერთია. სიკვდილი პროვოკატორ თავად დადეშქელიანს.

ამის თქმა და დადეშქელიანის ტყვიით განგმირა ერთი ყოფილა.

მისი სიმამრი ყრუაშვილი გაქცეულა. გაქცეულა აგრედვე დადეშქელიანის ძმა. ისიც დაუჭრიათო. მათი ბედი ჯერ არავინ იცის.

არის აგრედვე ხმები, ვითომც ლევან დადეშქელიანის მოკვლას სულ სხვა რამ მისცემოდეს მიზეზად.

ბნელ ძალებს გაეფრცელებინათ ხმა, ვითომც ლევან დადეშქელიანმა იმიტომ მოიყვანა რაზმი, რომ მაზრაში თავის წინაპრების ტახტის აღდგენა ჰსურსო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მშვიდობიან დროსაც კი მთელი ლეჩხუმის მაზრა შემოტანილ პურით სარგებლობდა.

ახლა საგუბერნიო მთავრობამ გვლენის მოსახდენად ბრძანება გასცა, რომ მაზრის ყველა გზები ჩაიკეტოს, და მაზრას სურსათი არ მიაწოდონ. სამაზრო კომისარს ებრძანათ, რომ არც ერთი ურემი ხორბალი არ შეუშვან ლეჩხუმში. ამავე დროს საგუბერნიო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ არც ხაზინებმა და არც კერძო პირებმა მაზრას ფული არ მიაწოდონ.

ვნახოთ, რამდენად იმოქმედებს ეს ზომა. ვაი, თუ ამან უფრო აღაფეროს მშვიდობიანი მცხოვრებნი და ამით ბნელ ძალებმა უფრო გაიხარონ.

კიდევ არსებობს მესამე ვერსია, რომელიც ამბობს, რომ ლეჩხუმის მაზრაში არავითარ ბოლშევიკურ მოძრაობას ადგილი არ ჰქონია და არც კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებსო. ხალხს მხოლოდ გადაუყენებია რამდენიმე პირი ადგილობრივ კომიტეტებიდან, რომელთაც ხალხი აბარებს მრავალს არა სასურველს მოქმედებას. ამ ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოების ჩასაქრობად გამოუწვევიათ ქუთაისიდან ჯარები. ხალხი მათ დახვედრია, იარაღი აუყრია და უკან დაუბრუნებია. ლევან დადეშქელიანი მოუკლავთ ამის შემდგომ, გზაში თავის სახლში მიმავალი. ხალხი მეტად გაუბოროტებია იმ გარემოებას, რომ ეხლაც ჯარების ჩამოყენებას გვიპირობენ ისე, როგორც ეს წინეთ იყოვო.

ბ. ჯ.

კალენდარი

სამშაბათი, მარტის 6

მე-2 დღე დიდი მარხვისა.

ქართვ. წმ. 42 მოწამეთა, რომელნი იყვნენ ამორიელნი: თეოდორე, კონსტანტინე, არკადი, კონონი და სხვ.

კათოლ. წმ. ვიქტორა, ვალენტი და ლუდგარდისა.

მაჰმად. სე-შაბნე 5 რ. ჯუმადულ-ახირ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშიშ 5 რ. ნისანისა 5678 წ. ქვეყნ. შექმნ.

სამკურნალო კაბინეტი

კ. ს. ფოგნ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914"-ით და „606"-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დღისით და 4½—8 საღამოთი. მიბაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესასვლელი კრილოვის ქუჩით.

თებერვლის 2 ხსდობა

ექიმი

დ ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა ხნეულებებს ავადმყოფთა ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე ვერის ქუჩა № 41

ტელეფონი № 15—09

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალოს ექ. ნ. მ. კიშკინისა.

იღებს შინაგან და ნერვების ავადმყ. (პსიხოტერაპია) საშაბათობით, ოთხშაბათ., ხუთშაბ. და პარასკევ. 3—5 საათ. ოლღის ქუჩა № 22.

თ—989—17

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსებისძე

ყოფრდანია

სწავლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული ბალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

ტელეფონი 14—37

Iთ—960—12

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის ყურის ყელის და ცხვირის სნეულებიან ავადმყოფებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე, საღამოს 5-დან 7-მდე. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

თ—907—9

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეჰრაგიანცი

შინაგან ავადმყოფობა — ფილტვის—ქალების და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა (ს.ი.) სხვეგბით.დიდი სიღენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები ლ'ამ'ენვალისა შინაგანის სნეულებისათვის, პნევმოთორაკსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბეგუოთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92.

თ—986—18

ექიმი

მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინს-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხასხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბო-ბინდის" პირდაპირ.

თ—1018—4

დოქტორი ბ. ...ცენნა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმუშრესი ექიმი ინ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კა ისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეუხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთა თვის 4—5 დანარჩენნი 5—8 საათამდე სადამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ ტელეფონი 14—28.